საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდი

ოთხშაბათი, 4 დეკემბერი 1918 წ.

ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს ფასს ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შეუძლიათ ადრესით გამოუგზავნონ Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 263 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 263

გულდათუთქულნი მშობლები: ელიზბარ მიქელაძე და ფოტინე იესეს ასული ქენიშვილები, დები: ქეთევან ელიზბარის ასული მჭედლიძისა მეუღლით, ტატიანა და ქსენია, ძმები: დავით, კონსტანტინე, რაფიელ და დანიელ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას და მუდამ დაუვიწყარ

მარო ელიზბარის ასულის მეგრელიძის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება სოფ. ქვენობანში (გურია) ხუთშაბათს, 5 დეკემბერს (ახალი სტილით) ნაშუადღევის 3 საათზე. (3—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ბართლომე გრიგოლის ძე მეგრელიძე შვილებით, სიდედრი ანუსი, რძალი ივლიტა და მაზლი თეგორ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფას და მუდამ დაუვიწყარ

მარო ელიზბარის ასულის მეგრელიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 5 დეკემბერს (ახ. სტილით) ნაშუადღევის 3 საათზე ს. ქვენობანში (გურია). (3—1)

გულმოკლული გაუბედურებული მეუღლე ბარიტონ სიმონის ძე ურუშაძე, უდროოდ დაობლებული შვილები: ელენე, ნადია, ფატული, გაბრიელ, გიორგი და ზინა (ცუცა), სიდედრი ბაკაკო ნაკაიძის ასული ურუშაძისა, მულები: ბაბინე ქუენტისა და მარიამ თოიძისა, მაზლები: ნოე და ვარლამ ურუშაძენი, სიძეები: ანტონ ქუენტი და ირაკლი თოიძე, რძლები: ნინა და ფლორენცია აცნობებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ქ. თფილისში მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის მუდამ დაუვიწყარი

ლიუდი გიორგი ნაკაიძის ასული ურუშაძისა

რომლის ცხედარს გამოასვენებენ დღეს (4 დეკ.) ნაშუადღევის ხუთ საათზე (ანდრიევის ქუჩა № 92 სოლომონ ბოლქვაძის ბინიდან) და წაასვენებენ გურიაში, სოფ. ლიხაურს, დასაფლავება კვირას 8 დეკ. ნაშუადღევს ლიხაურის ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანში.

დამწუხრებულნი დები: ათინო ნაკაიძის ასული ხომერიკისა, ნინა (პატკუ) ბოლქვაძისა, სიძეები: ლავრენტი ხომერიკი და სოლომონ ბოლქვაძე, დისწულები: [illegible] ხომერიკი, ვენერა და ელეონორა (კუკნა) ბოლქვაძის ასულები დავსტირით ჩვენი გულის მოკვლელს ჩვენთვის მუდამ დაუვიწყარს

ლიუდი გიორგი ნაკაიძის ასულს ურუშაძისას

დამწუხრებული ძმა ვლადიმერ გიორგის ძე ნაკაიძე, დედა ქრისტინე ბერიძის ასული ნაკაიძისა, რძლები: ნიფო და ელენე, ძმისწულები: ლიუდმილა, გიორგი, ვანო, ალექსანდრე, ლია და თამარა ვლადიმერის ძენი და ასულნი აცნობებენ ნათესავებს და მათი ოჯახის პატივისმცემელთ, რომ ქ. თფილისში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ლიუდი გიორგი ნაკაიძის ასული ურუშაძისა

მშობლები ფილიპე და სოფიო ნინიძენი, მათი შვილები სევასტი, მიშა და მართნია, ძმები ნიკო, ერმილე და ილარიონ აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხუთშაბათს, ქრისტეშობისთვის 5 ს (ძველი სტილით ოცდა ორ გიორგობისთვეს) სოფ. ასკანის ეკლესიაში გადახდილი იქნება საორმოცო წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

ამბროსი ნინიძის

სულის მოსახსენებლად. (1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ერმილე ანტონის ძე ბორჩხაძე შვილებით, დედა ატატო ნიკოლაიშვილისა შვილებით, დედამთილი ანნა ბორჩხაძისა, მაზლები კონსტანტინე და ტარიელ ბორჩხაძეები, რძლები ანეტა და მარო შვილებით, სიძეები ანთიმოზ ტრაპაიძე და ლადიკო ერქომაიშვილი, მულები ეფროსინე, ვერა ტრაპაიძისა შვილებით, ელენე ერქომაიშვილისა შვილებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს უდროოდ გარდაცვალებას

პესა ბორჩხაძისას,

(1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მამა ვანო კოკაია და დედა მარია კოკაიასი შვილებით შოთა და ოლღა; ბიძები: იოსებ კოკაია, ბაგრატი და პავლე რატიანები, ბიცოლა მატრონა კოკაიასი და დეიდა სონია რატიანის ასული აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 5 დეკემბერს, დილის 4 საათზე გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი ჭაბუკი

ტ ა რ ი ე ლ ი

გამოსვენება მოხდება ხუთშაბათს, 5 დეკემბერს, დილის 10 საათზე. საკუთარ სახლიდან (პოგრანიჩნი შესახვევი № 9). დაკრძ. წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—1)

ღრმად დამწუხრებულნი: დედ-მამა ეფემია ალექსის ასული და ილია პავლესძე მაჩაიძენი: ბიძები პორფირე და ვარლამ ალექსის ძენი იოვაშვილები, მეუღლითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ბორის (ბორია) ილიასძე მაჩაიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება ოთხშაბათს, 4 დეკემბერს, დილის 10 საათზე პრიუტის ქუჩიდან (მთა წმინდა) სახლი № 27, კოლუბნის ეკლესიაში, დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. (1—1)

3 დეკემბერს, ხანმოკლე მაგრამ მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

გრიგოლ ივანეს-ძე ქიქოძე

რასაც გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავ ნაცნობთ მისი შვილები—ელენე, ილიკო, სილვია, ანეტა, სონა, მარო, გაბო და ქეთო ქიქოძენი. გამოსვენება საკუთარი ბინიდან—გუნიბის ქ. № 41—კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, დეკემბრის 4 ს, დილის 10 საათზე. (1—1)

გერასიმე ლავრენტის ძე ქიქოძე შვილებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

გრიგოლ ივანეს ძე ქიქოძის

გარდაცვალებას. დასაფლავება დღეს, 4 დეკემბერს, წმინდა ნინოს სასაფლაოზე გამოსვენება საკუთარ ბინიდან, გუნიბის ქ. № 41, დილის 10 საათ.

3 დეკემბერს ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

გრიგოლ ივანეს ძე ქიქოძე

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავ მეგობართ ნინო, გიგო, შალვა, თამარი, ანიჩკა, დათიკო და ჩიტო შარაშიძენი. გამოსვენება—გუნიბის ქ. № 41—კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, 4 დეკემბ. დილ. 10 ს.

ნოე გიორგის ძე და ანნა ივანეს ასული ხომერიკები მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ გარდაცვალებას ძვირფასი სიძის

გრიგოლ ივანეს ძე ქიქოძისას

გამოსვენება საკუთარ ბინიდან, გუნიბის ქ. № 41, დილის 10 საათ. დასაფლავება დღეს, 4 დეკემბერს, წმინდა ნინოს სასაფლაოზე

ამიერ-კავკასია

ჩვენ არა ერთხელ შევხებივართ ამიერ-კავკასიის ერთა მდგომარეობას. პატარა რესპუბლიკები, რომელნიც აქ აღმოცენდენ, ერთ და იმავე სურვილით და მისწრაფებით არ არიან გამსჭვალულნი. პირიქით, თვითოეული მათგანი თავის გზით მიდის, თავის იდეალებს ისახავს, რომელიც დიამეტრალურათ წინააღმდეგია მეზობელ სახელმწიფოს იდეალისა და მისწრაფებისაგან. ამ ანტაგონიზმის შედეგია ის შეურიგებლობა, ის ყრუ უკმაყოფილება და გულჩათხრობილი მტრობა, რომელსაც ადგილი აქვს ამ პატარა და სუსტ რესპუბლიკებ შორის. იმდენად ძლიერი გამოდგა ეს დაფარული წინააღმდეგობის ძალა, რომ საერთაშორისო კონფერენციის მოწვევისათვისაც კი ვერ იპოვეს საერთო ენა. უბრალო ფორმალურ მიზეზების გამო დაშალეს იგი. ზოგმა კილო დაიწუნა მოწვევის ბარათის, ზოგმა ინიციატივის შეთვისება ერთი მხარისაგან ჩასთვალა უზურპატორობათ. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე წავიდა, როგორც მტერს გაეხარდებოდა, და ყველა წრფელ დემოკრატში კი გულის ტკივილს გამოიწვევდა. ახლა ირკვევა ზოგიერთი კონტურები ამ წინააღმდეგობისა, რომელიც ჩაქსოვილა ამიერ-კავკასიის ერთა ცხოვრებაში. დაშნაკელების ორგანოს, „ნორ-ორიზონის" წერილი სომხის ხალხის დამოუკიდებლობაზე ამას საკმაოთ ნათლათ აშკარავებს.

საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და მიზნათ დაისახა თავისუფლებისა და წესიერების დამყარებით ევროპისაკენ გზა გაეკაფა. გეოგრაფიული მდებარეობა ზღვის ნაპირზე ამაში ხელს უწყობს მას. ადერბეიჯანს აქვს სხვა მიზანი—ოსმალეთის ერთმორწმუნე ერთან შეერთება და ბაქოდან სტამბოლამდე ერთი ხაზის გაბმა.

სომხებს ახალი იდეალი წამოუყენებიათ: დამოუკიდებლობა კარგია, თუ სომხეთის მთელი ერი შეერთდება, თუ ზღვის ნაპირზე გასავალი გზა მიეცემა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი არჩევს სხვა სახელმწიფოს მოუწოდოს და მის მფარველობაში გადასცეს თავისი ერი, ოღონდ ამის საშუალებით მოიპოვოს გზა ზღვის ნაპირისაკენ, ანუ, როგორც გაზეთი ამბობს, „საკუთარი სარკმელი" ევროპისაკენ.

ჩვენ არ შეგვიძლია უარვყოთ ერის უფლება—სხვას შეეკედლოს, თუ კი ეს მისი განვითარების ინტერესებს უფრო შეეფერება. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ გზა ამის მისაღწევათ მათ ან არ აურჩევიათ, ან თუ აურჩევიათ, ძალიან ცუდი. „ყველა ჭეშმარიტ პატრიოტის და დემოკრატის გულში მუდამ იქნება ცხოველათ იდეა ირედენტიზმის ოთხივე მხრივ"—სწერს გაზეთი და ბოლოს გვირჩევს სერიოზული ყურადღება მივაქციოთ მათ სურვილებს.

ჩვენ მართლა სერიოზულათ მიგვაჩნია ეს საკითხი. ირედენტიზმი, მუდმივი სურვილი ჩამორჩენისა და გათიშვისა, არის დაუსრულებელი მიზეზი ომიანობის, ერთა ბრძოლის, შოვინისტურ აზრების გავრცელების. ამით და მუქრება მეზობლებისადმი ნიშნავს თავიდანვე არა თეთრი კბილების გამოჩენას, რაც არ შეიძლება ერთა სოლიდარობის განმტკიცებისათვის მავნებელ ფაქტორათ არ ჩაითვალოს.

ერთი რამ მით უმეტეს არის აღსანიშნავი: თვითეულ ერს აქვს უფლება თავის ბედი გადასწყვიტოს, მაგრამ არავითარი ნება არ აქვს სხვა სახელმწიფოს და ერს თავის სურვილები მოახვიოს თავზე, ან შეეცადოს ისეთი ზომების მიღებას, რომელიც სხვა ერს მოუსპობს საშუალებას თვითგამორკვევისას. ამიტომ სიტყვები, რომელიც ორიზონის წერილის ბოლოშია მოთავსებული, ამ მხრით არ შეეფერება დემოკრატიულ აზრს და ლტოლვილებას: „და თუ ჩვენი მეზობლებისთვის მათი ქვეყნის დამოუკიდებლობას აქვს უმაღლესი ღირებულება, მათ ამ დამოუკიდებლობის გულისთვის არ შეუძლიათ სერიოზული ყურადღება არ მიაქციონ ჩვენს მსჯელობას".

მაშასადამე არ მიაქციეს, ესე იგი, არ იზრუნეს დაშნაკელების იდეების განხორციელებაზე, ცხადია მათ დამოუკიდებლობას საფრთხე მოელის. ცხადია სომხის ერი, თუ მან დაშნაკელებს დაუჯერა, ამ მეზობელთა დამოუკიდებლობას იოლათ გასწირავს თავისი კეთილ დღეობისათვის.

დაშნაკელებს რომ მართლა ერთა სოლიდარობისთვის ანგარიში გაეწიათ, ისინი ასეთ მუქარას არ მიმართავდნენ.

ჩვენ არ ვფიქრობთ და არც გვიფიქრია სხვისი დანგრევა საკუთარის აშენებლობის გულისათვის. ეს დემოკრატიის პრინციპის ძირიანათ დარღვევაა.

მაგრამ ერთა ინტერესების შეუთანხმებლობის შესაძლებლობას ჩვენ ვერ უარვყოფთ. არც ვიბრმავებთ თვალებს იმის შესახებ, რომ სახელმწიფოთა შორის საკონფლიქტო კითხვები იარსებებენ. მაგრამ ამ კითხვების გადასაჭრელათ და ყველა ერისათვის თავისუფალი განვითარების გზის მისაცემათ, საჭიროთ და აუცილებელ პირობათ მიგვაჩნია—შეთანხმება, მოლაპარაკება, კონფერენცია, არბიტრაჟი, ურთიერთის დათმობა. ხოლო მუქარა და სხვისთვის ზიანის მოტანა უნდა გამოდევნილ იქნეს დემოკრატიის ლექსიკონიდან

დაშნაკელებსაც, თუ სურთ თავისუფლება სომხის ერისა და მართლა შესტრფიან მის განვითარებას, პირველ ყოვლისა უნდა მეზობლებთან ამ ერის კეთილ განწყობილებაზე ზრუნავდნენ. ჩვენ არ გვაქვს იმედი, რომ დაშნაკელები ამ გზას გაყვებიან. მათი წერილის აზრი და მნიშვნელობა არ გვაძლევს ამის საბუთს. მათი წარსული და აწმყო მოქმედება არ გვიძრავს საამისო იმედებს. პირიქით, იგი გვაფიქრებინებს, რომ დაშნაკელებს ახლაც სურთ გარეშე ძალას დაეყრდნონ არა მარტო თავის ერის ფეხზე წამოსაყენებლათ—არამედ მეზობლებისთვის ზიანის მოსატანათ. პირველი მათი საკუთარი საქმეა. შეუძლიანთ იმათ შეეკედლონ ვინც მათ დაიცავს, მაგრამ მეზობლების საწინააღმდეგოთ კი არც ნება აქვთ, არც უფლება—ასეთი აგრესიული ზომები მიიღონ. სხვისი მტრობით ქვეყანა არ აშენდება. ასეთ მტრობით გააწამეს და დასცალეს სისხლიდან მათ სომხის ერი. და მომავალშიც ასეთივე ბედს აკუთნებენ, თუ სომხის ერმა მის ავანტიურას ლაგამი არ ამოსდო.

ჩვენ სომხის დემოკრატიასთან, სომხის ერთან სადაო არაფერი გვაქვს. ჩვენ დემოკრატიასთან ყოველთვის ვიპოვით საერთო ენას და შევძლებთ შეთანხმებით მუშაობას. ერის მოძულეთა და დემოკრატიზმის ფეხ ქვეშ გამთელავებს კი საკადრისს პასუხს გავცემთ.

პ რ ე ს ა

საღვთო სჯულის სწავლების გაუქმება ჯერ კიდევ ბრაზს გვრის მემარჯვენეებს. „კლდის" უკანასკნელ ნომერში ბ. რ. გაბაშვილი იმეორებს იმ აზრებს, რომლებიც გამოსთქვა პარლამენტის ტრიბუნიდან წარმოთქმულ სიტყვაში, ზოგიერთ დამატებით. რასაკვირველია, როგორც შეეფერება მემარჯვენეს, ეს ღვარძლით და შხამით გამსჭვალული ვაჟბატონი, რომელიც სულიერი განწყობილებით ყველაზე უფრო შორს არის ქრისტიანულ მორალთან, ქრისტიანობის დამცველათ გამოდის და ცდილობს დაგვანახვოს ქრისტიანობის უპირატესობა სოციალიზმთან შედარებით. მაგრამ მისი მოსაზრებანი ამ მხრივ არაფერს საინტერესოს არ წარმოადგენენ. საინტერესოა მხოლოდ ის „ობივატელური", დედაბრული შეხედულება, რომლისაგანაც ვერ განთავისუფლებულა ბ. რ. გაბაშვილი, თუნდაც სულ მარტივ საკითხებზე მსჯელობდეს. აი რა არგუმენტებით სურს მას გააბათილოს საღვთო სჯულის სწავლების მომსპობთა მოსაზრებანი:

> „მე არ მინდა ბოროტი ვიყო და მოვინდომო, რომ სოციალდემოკრატიის ყოველ ოჯახს თითო წევრი მაინც მოჰკლდომოდეს, რომ გვენახა, რამდენი პროცენტები ამ „ურწმუნო" ხალხისა დამარხულა მათ უმღვდლოდ და ეკლესიის გარეშე. მე არ მინდა არც მათი ქორწილები და ნათლობა, მაგრამ საინტერესოა, მთელ საქართველოში რამდენია მათში ჯვარდაუწერელი, მოუნათლავი, ან სხვა საეკლესიო წეს-უსრულებელი? და როდესაც ისეთია მდგომარეობა, რომ არა მარტო ძველი რეჟიმის დროს, როცა „კომპრომისი სინდისთან" სავალდებულო იყო სოციალდემოკრატებისათვის, არამედ ეხლაც ბევრი ნაბიჯს ვერ გადადგამს უეკლესიოდ"...

რა აქვს საერთო ამ დედაბრის ნალაპარაკევს საღვთო სჯულის სწავლების გაუქმებასთან? ვთქვათ, სოც.-დემოკრატები ჯერ კიდევ ღვდლების დახმარებას მიმართავენ ხოლმე ჯვარისწერის, ნათლობის, დასაფლავების დროს. განა ეს აბათილებს იმ მოსაზრებას, რომ საღვთო სჯულის სწავლება სკოლებში მავნებელია? მაგრამ ბ. გაბაშვილს თავის წერილში ერთი ისეთი მოსაზრება მოჰყავს, რომელიც პარლამენტში არ მოუყვანია, რომელიც, უეჭველია, თავში მოსვლია მერე, დიდი ფიქრის შემდეგ და რომელიც ამიტომ მის ლოგიკის „ქვინტ-ესენციას" უნდა შეადგენდეს:

> „და თუ საღვთო-სჯულიდან ისწავლა ლაპარაკი სამართლიანობაზედ, რატომ ასე უსამართლოდ იქცევა ცხოვრებაში: ურწმუნოთა ხარჯით მორწმუნეთა უმრავლესობის სწავლება უსამართლობაა და მორწმუნეთა ხარჯით ურწმუნოთა უმცირესობის შენახვა—სამართლიანობაა?

საჭირო არ არის დიდი ძალა დაატანო ტვინს, რომ სოც. დ. ორატორების მიერ გამოთქმული მოსაზრება უდავოთ ჩაითვალოს: ვისაც არ უნდა ასწავლოს თავის შვილებს საღვთო სჯული, მას არც უნდა გადაახდევინონ საღვთო სჯულის მოძღვართა გასამრჯელო ფული. რანაირათ გამოვა „მორწმუნეთა ხარჯით ურწმუნოთა უმცირესობის შენახვა", საღვთო სჯულის სწავლების გაუქმებიდან ამ მიუწდომელ საიდუმლოებას თვით ბ. გაბაშვილიც ვეჭვობთ თუ ახსნის.

ქვემოთ ბ. გაბაშვილი ისევ დედაბრულ კილოზე გადადის და გამოსთქვამს შიშს, რომ, თუ ბავშვს მოსეს მიერ ღვთით მიღებული ათი მცნება არ ვასწავლეთ, თუ არ ვუთხარით, „არა იპარო", „არა კაც კლა", „არა იცრუო", ბავშვი უთუოდ იცრუებს, მოჰკლავს და მოიპარავსო. ის გესლი, რომლითაც ავტორი აზავებს ამ დედაბრულ სისულელეს, კიდევ უფრო სასაცილოდ ხდის მას.

ვეებერთელა წერილში არ შეიძლება ერთი სიმართლე არ წამოცდენოდა ავტორს, ამნაირი სიმართლეა ასეთი აზრი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთ ბრძოლაში ჩვეულებრივ, რენეგატები ყველაზე უფრო სასტიკნი არიან ხოლმე.

დიახ, რენეგატები ყველაზე სასტიკნი და ულმობელნი არიან. ბ. გაბაშვილმა, უეჭველია ეს პირადი გამოცდილებიდან იცის: მან იცის, რას ნიშნავს რენეგატობა უკიდურეს სოციალისტობისაგან უკიდურეს შავრაზმელობისაკენ, ამიტომ არის, რომ ის გაფთრებით და გაშმაგებით იცავს საღვთო სჯულის სწავლებას, თუმცა იცის, რომ ვერც ერთი პედაგოგიური მოსაზრება ვერ გაამართლებს ამ სწავლებას. ბ. გაბაშვილის წერილი სავსეა იმისთანა სიტყვებით, როგორიცაა „იეზუიტობა“. „ველურობა“ და სხვ. ეჭვი არ არის, იეზუიტობის სიმწარე მას არა ერთხელ უგრძვნია იმ დროს, როცა სარწმუნოების დამცველად გამოდიოდა ტრიბუნაზე და „კლდის“ ფურცლებზე. უეჭველია, „ჰოტენტოტურ მორალის“ სინდისის ქენჯნაც არა ერთხელ განუცდია მას რომ ასე ხშირათ ლაპარაკობს ამ საგანზე, „ვისაც რა სტკივა, იმასა სჩივა“.

⁂

საქართველოს დამოუკიდებლობის ნახევარი წლის დღესასწაულის გამო ბ. დუბროვსკი რამდენსამე საგულისხმო აზრს გამოსთქვამს „ტიფლ. ლისტოკში“.

„უაზრო და უმიზნო ჩივილი შეურაცხყოფაზე, ტანჯვაზე და ტკივილებზე, ბეცი და უგუნური უარყოფა საქართველოს დამოუკიდებლობისა, დანაშაულობაა მტრული განწყობილება მის წინააღმდეგ იმ დროს, როდესაც „ისტორია მეორდება“, იმ დროს როდესაც მოვიდა სტიქიონი, თავის საქმეს აკეთებს და არავის არ ეკითხება მის ტანჯვა-სიხარულზე, სტიქიონი, რომელიც წინასწარ გადაწყვეტილია ისტორიულ პროცესის განვითარებით, რომლის მსვლელობას ვერ შესცვლის ნებისყოფა კერძო საზოგადოებრივ ჯგუფებისა და ძლიერ ორგანიზაციებისაც კი...

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ეს ისტორიულ პროცესის ნაყოფია და მისი მიზეზი უნდა ვეძიოთ არა იმდენათ თვით საქართველოში, რამდენათაც რუსეთში, იმ რყევაში, რომელმაც დასცა რუსეთის ძლიერება“.

როგორც ვხედავთ, ბ. დუბროვსკის შესძლებია ობიექტიურათ განხილვა იმ მიზეზებისა და იმ ისტორიულ პროცესისა, რომლის ნაყოფიც იყო საქართველოს დამოუკიდებლობა. მით უფრო გასაკვირალია მის წერილის ბოლოში ამნაირი სტრიქონები: მისი აზრით, ქართველ საზოგადოებაში

„გაბატონებულია გაზ. „ერთობის“ კილო, გაბატონებულია მისი ჩვეულობა—სხვა გვარათ მორწმუნეების გამოცხადება საქართველოს მტრებათ და ყვირილი: „დაიჭირეთ ეგ ასეთ-ისეთი დიდ სახელმწიფოს მოტრფიალე, მოღალატე, ქართველ ხალხის მოძულე“.

არ ვიცით, სად ამოუკითხავს ბ. დუბროვსკის „ერთობაში“ ამნაირი სიტყვები და კილო, ჩვენ უფრო გვგონია, რომ მას „ერთობა“ „საქართველო“-„კლდესთან“ აურევია. იქნება „ერთობის“ ზოგიერთი მხილება არ მოსწონს მას, იქნება, მაგ., არ მოსწონს ის, რომ „ერთობამ“ ნაციონალისტური შუღლის გამძლიერებელი აზრები დაინახა თვით ბ. დუბროვსკის მოწინავეებში, ან ის, რომ კონტრ-რევოლუციასთან შერიგების სურვილი დაინახა ბ. შირსკის წერილში. ბ. დუბროვსკის ობიექტიური მსჯელობა შესძლებია: გადაიკითხოს თავისი მოწინავე „ტიფ. ლისტოკის“ მე 258 ნომერში, ჩაუკვირდეს ბ. შირსკის წერილში გამოთქმულ აზრებს ამავე გაზეთის ამავე ნომერში და დაინახავს, რომ „ერთობას სრული სიმართლე უთქვამს.

საქარ. პარლამენტ. სადღესასწაულო

სხდომა.

დასასრული

კარლო ჩხეიძე. სიტყვა ეკუთვნის მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას. ჟორდანიას გამოსვლას მთელი დარბაზი მხურვალე ტაშის ცემით ხვდება.

ნოე ჟორდანიას სიტყვა.

მოქალაქენო! ასი წლის წინეთ საქართველომ ხელი აიღო თავის დამოუკიდებლობაზე. ექვსი წლის წინათ იმავე საქართველომ გამოაცხადა აქტი თავისი დამოუკიდებლობისა. ამ ორი ერთი მეორის მოპირდაპირე მოწინააღმდეგე აქტი, არის იმავე დროს აქტი ჩვენი ცხოვრების ძირითადი პრობლემისა.

ეს მიზეზია ჩვენი მტკიცე სურვილი თავი დავაღწიოთ აზიურ ბარბაროსობას, ხოლო შედეგია ის, რომ ორივე შემთხვევაში დასახულ მიზანს მივაღწიეთ.

აქედან ცხადია, აქტი 26 მაისის იყო არა უცაბედი, შემთხვევითი მოვლენა, გამოგონილი რომელიმე პირის, ჯგუფის თუ პარტიისა, არამედ ის იყო აქტი ისტორიულათ აუცილებელი, ჩვენი ხალხის გულის სიღრმიდან ამოხეთქილი. ამ აქტმა ჩვენ მოგვცა ის, რომ საქართველო გადაურჩა განადგურებას, ჩვენი ქვეყანა გადაურჩა მტერთა ოკუპაციას, და გავხდით ჩვენი თავის ბატონი და პატრონნი. ამ აქტისა მოხდა ისიც, რომ ჩვენს ქვეყანაში არ შემოსულა სამტროთ შეიარაღებული ძალა, თუ შემოვიდა—შემოვიდა მხოლოდ სამოყვროთ, და სრული იმედი გვაქვს, სრულიად დარწმუნებული ვართ, თუ ამ ძალის გასვლის შემდეგ ჩვენში შემოვა სხვა ევროპიული ძალა—შემოვა იმავე სამოყვროთ და სამეგობროთ.

და ეს იმიტომ, რომ მთელი ჩვენი მეცადინეობა მე-16 საუკუნიდან მიმართულია დასავლეთის დაახლოვებისაკენ, ჩვენ იქ ვეძებდით და ვეძებთ წყაროს თავისუფლებისა და კულტურისა და მაშასადამე ჩვენს შორის არ შეიძლება იყოს შუღლი და მტრობა.

თუ კი რეაქციონური გერმანიის ჯარები პატივით მოგვეპყრო და არაფრით არ შეულახავთ ჩვენი ერის სუვერენობა, განა კიდევ უფრო არ უნდა მოველოდეთ უკეთეს მოპყრობას მოწინავე და დემოკრატიული ქვეყნების წარმომადგენელთაგან, რომელთაც გუშინ უკვე დაადგეს ფეხი საქართველოს ტერიტორიაზე. არა გვმართებს ცრემლთა ფრქვევა, არა გვმართებს უიმედობა, მხოლოდ ერთი პირობით კი: ჩვენ უნდა ვიდგეთ ჩვენს ისტორიულ საფუძველზე შეურყევლათ, გაუქანებლათ—ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ უნდა უარვყოთ ქაოსი და ბარბაროსობა საიდანაც უნდა მოდიოდეს ის—იქნება ის სამხრეთიდან თუ ჩრდილოეთიდან.

ჩვენ დღეს შეგვიძლია შევიდეთ ევროპის ხალხთა შორის პირდაპირ, უშუამდგომლოთ, ჩვენ უკვე ამ გზაზე ვართ და ამ გზას არასოდეს არ მოვშორდებით.

და განა ეს ჩვენი სურვილი უნიადაგოა? თუ მართლა ამ ცარიელ სურვილს გარდა არაფერი გვაბადია—ცხადია ასეთი მსუბუქი ბარგით ევროპა არ მიგვიღებს და არ გვიცნობს. იქ სამართლიანათ გვეტყვიან: მოიტანეთ საბუთები, რომ შეგიძლიათ უბატონოთ, დამოუკიდებლათ ცხოვრება.

და ჩვენც თამამათ შეგვიძლია წარვსდგეთ უსასტიკესი აეროპაგის წინაშე შესაფერი საბუთებით.

ამ საბუთებს ჩვენ გვაძლევს ჩვენი ექვსი თვის დამოუკიდებელი ცხოვრება.

მოხდა ერთი დიდი აშკარა ფაქტი—თებერვლის დიდი რევოლუცია განმტკიცდა და ხორცი შეისხა მხოლოდ საქართველოში. მოპოვებულმა თავისუფლებამ ააფორიაქა რა მთელი რუსეთი და იქ გაჩაღა ანარქია ერთ ადგილას, რეაქცია მეორეს, მხოლოდ ჩვენში ჰპოვა ამ თავისუფლებამ ღირსეული პატრონნი, გონიერი მომხრენი, მან ვერ გაიტანა ჩვენი ხალხი ვერც ანარქიისაკენ, ვერც რეაქციისაკენ.

დემოკრატია მხოლოდ აქ იშვა და დაეპატრონა ქვეყანას.

ერთი წლის რევოლიუციურ ქარცეცხლმა მხოლოდ აქ გამოსჭედა დემოკრატია, ხალხი თავის თავის მართველი და ბატონი. მაშინ, როდესაც ყოველგან ძველი რუსეთის მთელ სივრცეზე ხალხი დაიმორჩილა რეაქციონურ და ანარქიულ ძალებმა—იქ არ აღმოჩნდა დემოკრატია იმდენად ძლიერი, რომ ამ ძალებს გამკლავებოდა და ქვეყნის სადავე მას დარჩენოდა.

ასეთი დემოკრატია აღმოჩნდა მარტო საქართველოში და მან დაამყარა წესიერება და თავისუფლება.

თავისუფლებას მხოლოდ ჩვენში არ აღმოუჩნდა მტერი წესიერების.

წესიერებამ მხოლოდ ჩვენში ჰპოვა ფესვები თავისუფლებაში.

ჩვენი დემოკრატია მართავს ქვეყანას თავისუფლებით.

მოსპეთ ეს თავისუფლება და დაინგრევა წესრიგი, ჩავცვივით ანარქიაში.

მოსპეთ წესრიგი, მოისპობა თავისუფლება, ჩავცვივით რეაქციაში.

აი ამ ორი ელემენტის შედუღება ჰქმნის ქართველ ხალხისაგან პოლიტიკურ დემოკრატიას და მით ის შედის ევროპის დემოკრატიათა ოჯახის სრულ უფლებიან წევრათ.

აი, ბატონებო, დიდი საბუთი ჩვენი პოლიტიკური სრულ-წლოვანების, ჩვენი სახელმწიფოებრივი მომწიფების და თავის თავის პატრონობის. ჩვენ არა თუ გვსურს, არამედ შეგვიძლია ვიყოთ დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა. ჩვენ უკვე ვართ ეს ექვსი თვეა და ვიქნებით მუდამ.

და არა თუ შევქმენით დამოუკიდებელი რესპუბლიკა, არამედ მას შევუქმენით და დღე მუდამ უქმნით შესაფერ ორგანოებს. არ კმარა ხალხის მიერ სუვერენობის გამოცხადება. საჭიროა ამ ბატონობის შესაფერი ნორმებით გამოხატვა და გატარება და სწორეთ ამ დიდ მუშაობაში ჩაბმულია პარლამენტის ყველა ჩვენი უწყება ეს ექვსი თვეა. ჩვენ დავიწყეთ თითქმის ცარიელ ადგილიდან, კონსტიტუციური ნორმები თითქმის სრულიად არ არსებობდენ. მაშინ იყო დრო ბრძოლის და არა შენების. წინანდელ ნაყოფიერმა ბრძოლამ მოამზადა ნიადაგი დემოკრატიული რესპუბლიკისა. ამ ექვსი თვის განმავლობაში მოგვიწყვეთ ადმინისტრატიული აპარატი, აგრარული რეფორმა, სახელმწიფო მეურნეობის ერობა, ადამიანები, ჯარი, გადასახადთა სისტემა, გავაფართოვეთ სახალხო გვარდია, გავაუმჯობესეთ მიმოსვლა, გავამრავლეთ ფოსტა-ტელეგრაფი ორჯერ, გავიყვანეთ მრავალ მაზრებში და სოფლებში ტელეფონის ქსელი, დავუახლოვეთ სწავლა განათლება ხალხს სამშობლო ენის საშუალებით, მოვახდინეთ სასამართლოთა რეორგანიზაცია,—და სხ. დასხ.—ერთი სიტყვით პარლამენტი, მთავრობა, უწყებები ჩაბმულია შეუწყვეტელ ორგანიულ მუშაობაში, ჩვენი რესპუბლიკის კონსტიტუციური ნორმებში ჩამოსაყალიბებლათ. უკანასკნელი და უზენაესი სიტყვა ეკუთვნის საქართველოს დამფუძნებელ კრებას, რომელიც ახლო მომავალში მოწვეული იქნება.

აქ არ შემიძლია არ მივაქციო თქვენი ყურადღება ერთ საგულისხმო გარემოებაზე—ჩვენ ვაკეთებდით არა მარტო საქართველოს საქმეებს, არამედ წილათ გვხვდა გაკეთება მთელი რუსეთის საქმეების რუსეთის მაგიერ. მე მოგახსენებთ იმ აუარებელ ხარჯებს, რაც რუსეთის მაგიერ ჩვენ გავსწიეთ. ჩვენი მტრები ხმას ავრცელებენ რუსეთში, რომ აქ საქართველოში რუსებს, განსაკუთრებით აფიცრობას, ვდევნით, ძალით ვერეკებით და სხ. და სხ. მე ვაცხადებ ამ ტრიბუნიდან, რომ რუსეთის არც ერთ კუთხეში რუსეთის და რუსთა ინტერესი არ ყოფილა დაცული ისე, როგორც ეს იყო საქართველოში. და აი ციფრები.

მხოლოდ ჩვენ შევსძელით შეგვექნა პოლიტიკური წონასწორობა, თავისუფალი და წესიერი მართვა-გამგეობა და მხოლოდ დაუძინებელ მტერთ თავისუფლების და დემოკრატიის შეუძლია გვითხრან: ხელი აიღეთ ამ წყობილებაზე და გადაეშვით რუსეთის ანარქიულ და რეაქციონურ მორევშიო!

არა, ბატონებო, ამას ჩვენ არ ვიზამთ, ამას ჩვენ ვერ ვიზამთ.

ჩვენ გვსურს ჩვენებური წესწყობილება შეიქმნას როგორც რუსეთში, ისე ჩვენ მოსაზღვრე რესპუბლიკებში, ჩვენ მოხარული ვიქნებით რუსეთის, ნამდვილი რუსეთის აღდგენის და დემოკრატიულ გზაზე შეერთებული ძალით დადგომის. მაგრამ განა ეს უნდა მოხდეს საქართველოს სიკვდილით? არა, ამას ნამდვილი დემოკრატი ვერ იფიქრებს. ხოლო ვინც ასე ფიქრობს—დემოკრატები არ არიან. მათ სურთ აღადგინონ არა დემოკრატიული, არამედ რეაქციონური რუსეთი და ნურას უკაცრავათ თუ ასეთ ხალხთან და ასეთ რუსეთთან საერთო ენა ვერ ვიპოვეთ.

26 მაისიდან ვიდრე 20 ნოემბრამდე ჩვენ დავხარჯეთ რუსეთის მაგიერ შემდეგი: ფრონტისა და მასთან დაკავშირებულ დაწესებულებების ლიკვიდაციისთვის თფილისის ხაზინიდან გავიდა 21 მილ. 22 ათას მან., საველე ხაზინიდან 9,791,000 მან., სენაკის ხაზინიდან 1 მილ. მ., ნატანების ხაზინიდან 736,000 მ., ფოსტა-ტელ. ოლქიდან 512,000 მ., მიმდინარე ანგარიშით სახაზინო გამგეობისა 1,436,000 მ., რკინის გზაზე 1,020,000 მან. ამას გარდა სამხედრო პირების ოჯახებს ჩვენ მივეცით 1,032,000 მან.; პენსიონერებს 1,323,000 მან. გარდა ამისა, ჩვენ გავწიეთ ხარჯები რუსეთის მაგიერ, რაც არც ერთ რესპუბლიკას არ გაუწევია. ჩვენ ვიცით რომ ბევრი ფული იყო კასებში, ბანკებში და სხვ. ეს ფულები დაიხარჯა ომზე და ეს დაწესებულებანი უფულოდ დარჩნენ, რომ ისინი ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოგვეყვანა. შემნახველ კასებს მივეცით 30 მილ. მივეცით კერძო ბანკებს 28,000,000 მან. სახელმწიფო ბანკს და ხაზინას მიმდინარე ხარჯებისათვის 23 მილიონი მან. სულ რუსეთის მაგიერ ჩვენ დავხარჯეთ 100 მილიონ მანეთზე მეტი. ამას გარდა, ჩვენ ჯერ არ გვაქვს ცნობები ქუთაისის, გორის, სიღნაღის და სხვ. სახელმწ. ხაზინებიდან და ყველა ეს რომ მიუმატოთ, ხარჯების საერთო ჯამი გაცილებით გადიდდება.

აი, ბატონებო, ნამდვილი რეალური დახმარება რუსეთის და რუსებისა. ვის, რომელ კუთხეს რუსეთისას შეუძლია წარმოადგინოს ასეთი საბუთი, ასეთი ბალანსი რუსეთისათვის გაწეული?

და თუ მაინც ცილს გვწამებენ, თუ მაინც რუსების დევნას გვიკიჟინებენ—ეს აიხსნება ჩვენი დემოკრატიული და დამოუკიდებელი რესპუბლიკის მტრების, შოვინისტური და რეაქციონური სულისკვეთებით.

აქ კი ნურას უკაცრავათ, ჩვენ დემოკრატიულ სახელმწიფოებს ყოველთვის მოვეწყობით, მათთან ყოველთვის გვექნება მჭიდრო ეკონომიური და პოლიტიკური კავშირი. მაგრამ მათგან მოვითხოვთ ერთ პირობას, ცნობას ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფოსი და თანასწორის თანასწორთან მოლაპარაკებას. რაც გვსურს თავისთავისათვის, ის გვსურს სხვებისათვის; მთელი ჩვენი საგარეო პოლიტიკა აი ამ სურვილით არის გამსჭვალული.

ბოლოს ნება მიბოძეთ გითხრათ—ჩვენი ბედი ჩვენს ხელშია, საქართველოს რესპუბლიკა არსებობს თუ ჩვენ შეგნებით და გარეთ აი ამ ნიადაგზე მტკიცეთ ვიდგებით.

გისურვებთ თქვენ, ვუსურვოთ ჩვენ შთამომავლობას, რომ 26 მაისის აქტი გახდეს მუდმივ დღესასწაულათ, დღეთ გამარჯვებისა საქართველოს დემოკრატიისა და თავისუფლებისა. (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები).

ნ. ჟორდანიას სიტყვის შემდეგ სხდომა დაიხურა და გაიმართა სასახლის წინ მიტინგი.

სასახლესთან.

პარლამენტის სხდომის დახურვის შემდეგ სასახლის წინ მოზღვავებულ ხალხში ჩადის **კარლო ჩხეიძე** და სპეციალურად მოწყობილ ტრიბუნიდან სიტყვას ამბობს. მან მოკლეთ გაიმეორა ის სიტყვა, რომელიც პარლამენტში სთქვა. მას ხშირად აწყვეტინებდნენ სიტყვას ტაშის ცემით და „ვაშას“ ძახილით.

შემდეგ ლაპარაკობს ნაძალადევის მუშების სახელით მუშა **გ. ფოფხაძე**. ის ესალმება ხალხს 1 რაიონის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის სახელით (ტაშის ცემა). შემდეგ აღნიშნავს იმ გარემოებას, თუ რა დიდი როლი ითამაშა ნაძალადევმა რევოლიუციაში. მან მისცა მუშათა პარტიას საუკეთესო მებრძოლები, გვარდიელები და სხვა. ის ამბობს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ეს ფარია რევოლიუციის მონაპოვრებისა. ორატორი ეხება საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებს და ამბობს, რომ ჩვენ არ გვეგონა თუ ამდენი მტერი გაგვიჩნდებოდა. ჩვენს მთავრობასაც ბევრი მტერი ჰყავს, მათ უნდა იცოდნენ, რომ ჩვენი მთავრობის პოლიტიკა ეს ჩვენი მუშათა კლასის პოლიტიკაა. დასასრულ ორატორი ამბობს, რომ დღეს ჩვენ ვდღესასწაულობთ საქართველოს დამოუკიდებლობას და ვისურვებდით ახლო მომავალში გვედღესასწაულა ინტერნაციონალის გამარჯვება (ტაში).

შემდეგ ტრიბუნაზე ადის **ალექსანდრე ლომთათიძე**. მის გამოსვლას ზღვა ხალხი ტაშის ცემით ხვდება. ორატორი დაახლოვებით შემდეგი სიტყვით მიმართავს ხალხს: დღეს დემოკრატიას მართლაც რომ მართებს დღესასწაული, ზეიმი. აი, მოქალაქენო, აქ მოზღვავებული ნაწილი საქართველოს დემოკრატიისა თავისი მოსვლით ამტკიცებს, რომ მის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგმულია და შესაფერი ნაყოფიც გამოულია. დღეს საქართველოს მუშათა კლასი საქართველოს მოქალაქეებთან ერთად, ერთა თვითგამორკვევას დღესასწაულობს. ჩვენ სოციალდემოკრატიას ერთა თვით გამორკვევისათვის, როგორც სხვა პრინციპებისათვის არა ერთი და ორი მსხვერპლი მიუტანია რევოლიუციის სამსხვერპლოზე. აქ დღეს ჩვენმა ბედმა გვითხრა, რომ ჩვენი ნამოქმედარის არც გვრცხვენია და არც გვეშინია. მე ამ ფრაზას ერთნაირად შევცვლი და ვიტყვი: ჩვენ არამც თუ შიში გვმართებს, ანდა გვრცხვენია, არამედ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მაშინ, როდესაც დემოკრატია მოსპეს, გაანადგურეს, აი აქ ჩვენმა დემოკრატიამ გაუძლო და განამტკიცა წმინდა დემოკრატიული პრინციპები და აქ დაამკვიდრა რევოლიუციის მონაპოვრები მას დღესაც მაგრად უპყრია ხელში რევოლიუციონური წითელი დროშა. აქ მტრებზე გვეუბნებოდნენ. მე ერთს გეტყვით: თუ ისეთი მტკიცე ვიქნებით, როგორც აქამდე, მაშინ ვერავითარი მტერი ვერ შეგვაშინებს და თუ მაინც და მაინც მოზღვავდა ძალები და ჩვენ დავეცით ბრძოლის ველზე, ჩვენი უკანასკნელი ამონაკვნესი ის იქნება, რომ საქართველოს დემოკრატიამ პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა, ის მუდამ წინა რაზმებში იყო, და წინა რაზმში დაეცა. მომავალი ისტორია, თუ კი ის პირუთვნელი იქნება, იტყვის, რომ აი ხალხი, კუთხე, რომელმაც განიცადა აზიური ბარბაროსობის საშინელება, გაუძლო რუსეთის ძველ რეჟიმს და მიაღწია ამ დღემდე და დაეცა არა იმიტომ, რომ ის მომზადებული არ იყო, არამედ იმიტომ, რომ ის მცირე აღმოჩნდა და მოზღვავებულ მტრებს ვერ გაუძლო.

ჩვენ მაისის პირველ რიცხვებიდან გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენი ხალხი არ იზიარებს თქვენს აზრს და დადგება დრო, როცა პასუხს მოგთხოვთ. ჩვენ გვიკიჟინებდნენ, რომ 26 მაისის აქტი არის აქტი დემოკრატიის საწინააღმდეგო. ისინი, ვინც ამ წითელი დროშებით მოსულან, ერთ რამეს გვეუბნება აშკარად, რომ ის, რაც აქ, ამ სასახლეში კეთდება, რაც გამოდის აქედან კანონების სახით ეს მათი დამცველი, გამმაგრებელია, საქართველოს დამოუკიდებლობის ხორცის შემსხმელია. აი ფაქტი. ისინი გვეუბნებიან, რომ ჩვენ ამ დროშას ხელს არ გავუშვებთ, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ და თან ბრძოლისკენ მოუწოდებენ ყველას განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა. ეს ფაქტი ჩვენ გვეუბნება, რომ განმტკიცებულ იქნება საქმე დემოკრატიისა, სოციალიზმისა. დღევანდელი დღე გვიმტკიცებს, რომ ისინი, მტრები, სცდებოდნენ კეთილშობილურათ, ან და მათ ალაპარაკებდა არა მეგობრობა დემოკრატიისა, არამედ შუღლი, მტრობა და ერთგვარი შურიც კი. მოქალაქენო, დემოკრატია დღეს თამამად ამბობს, რომ მან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით აღიარა, რომ ის მტკიცეთ სდგას ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე და საქართველოს დამოუკიდებლობა არამც თუ ისტორიულ აქტათ მიაჩნია, არამედ აფასებს ისე, რომ ის საუკეთესო [illegible] დემოკრატიული წყობილებისა.

დასასრულ ორატორი ეხება ბრძოლას მომავლისათვის, მოუწოდებს ხალხს ამ მერმისისათვის ბრძოლისაკენ და ეუბნება: მე თქვენ მოგიწოდებთ, რომ მეტის ენერგიით ვიბრძოლოთ. რომ დღეს თუ ვდღესასწაულობთ დღეს, ვამბობთ, რომ ერთა თვითგამორკვევის პრინციპი მტკიცდება, მაშინ ვიტყვით, რომ დემოკრატიზმმა საბოლოოდ გაიმარჯვა, ის უკვე განმტკიცებულია. (ხანგრძლივი ტაში)

შემდეგ სიტყვებს ამბობენ ალ. წერეთელი, ვ. ჯუღელი, ს. დადიანი, მამედ-ბეგ აბაშიძე, კომახიძე, ალ. გორგაძე, ყველა ორატორები ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ საქართველოს ფარგლებში შენარჩუნებულია რევოლიუციის მონაპოვრები და საჭიროა მისი დაცვა.

დასასრულ მეტის მეტად მგრძნობიარე სიტყვით მიმართა ხალხს მუშა ვლასა მგელაძემ. მან ხაზი გაუსვა საქართველოს წარსულ ბრძოლას და ქართველი ერის სულის სიმტკიცეს და სთქვა, რომ ეს ხალხი დიდებულ მომავალს გამოსჭედ ხალხი მარსელიოზის სიმღერით დაიშალ საღ. 4 ნახ. საათზე.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

3 დეკემბერი.

ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი. 2 დეკემბერი. ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. დასავლეთის ფრონტზე, არხანგელსკის და კოტლასის რაიონ მდგომარეობა უცვლელია. 29 ნოემბერს, ძლიერი ბრძოლის შემდეგ დავიჭირეთ ნარვა.

ლისკის დაჭერის დროს თავგამოდებით იბრძოდა კარლ-მარქსის სახელობის პოლ მიღებული იყო ბრძანება: დაიჭირეთ ლის ან დაიხოცეთ. პოლკმა აფრიალა რევოლ ციონური დროშა. სიმღერით გავიდა ბრძო ლაში და ასრულა ბრძანება. ყაზახები ზა დაცემული გაიქცნენ ბობროვისკენ. გადაწყ ტილია ლისკთან მებრძოლ წითელ არმ საჩუქრათ თითო თვის ჯამაგირი დაურიგ

უკრაინა. კურსკი, 1 დეკ. ეკატერინ სლავთან ყოველ წუთს მოსალოდნელია ბრძ ლა გეტმანის და პეტლიურას ჯარის შორ ხარკოვი. 1 დეკ. დენიკინის ბრძანებით ჯა ში გაწვეულ იქნებიან 40 წლ. ადვილ ალატირი. 29 ნოემბ. შეუდგნენ მამაკაცთა ქალთა მონასტრების ლიკვიდაციას. მონას ტრების ქონება გადაეცემა სამხ კომიტ. განყოფილებას. იმ ბერებს და მონ ნებს, რომელთაც მუშაობა არ შეუძლ თავშესაფარში მოათავსებენ. იასი 1 დეკ. მეფის ბრძანებით დათხოვნილ იქმნა ორი პალატა. აზრათ აქვთ კოალიციონურ სამი ნისტროს შედგენა. სამინისტროში ბრატიან შევა. დანიშნულია ახალი არჩევნები პარ მენტში, საყოველთაო, თანასწორ, ფარულ პირდაპირ კენჭის ყრის საფუძველზე. ან დამ. უკრაინის დეპეშათა სააგენტო იუწ ბა: საფრანგეთის და გერმანიის პრესა მოი ხოვს შვეიცარიის საკავშირო საბჭოსგან, რ მან ძლიერი ზომები მიიღო ბოლშევიკუ აგიტაციის წინააღმდეგ შვეიცარიაში. სააგ ტო იუწყება, რომ რუმინიაში საერთო გაფი ცვებია. მოზრუისკი, 30 ნოემ. იასში თათბ რის დროს მოკავშირეებმა გადაწყვიტეს, ალიციაში მონაწილეობის მიღებისთვის მინიას მისცენ ბესარაბია, ტრანსილვანია, კოვინა და დობრუჯა, ამის სამაგიეროთ მინიამ დროებით რუსეთის სამხრეთი ნაწ უნდა დაიჭიროს. ლიონი, 1 დეკ. ბელგიის ნისტრთა ახალ საბჭოს თავმჯდომარემ განა ხადა: „მოხარული ვარ განვაცხადო, რომ ციალისტებს, კათოლიკებს და ლიბერალ ერთად სურთ მუშაობა ერის კეთილ-მდგო რეობის ასაღორძინებლათ“. ინგლისის ჯა ყველა ფრონტზე გერმანიის საზღვრებს ლოვდება. ინგლისის ფლოტი 30 ნოემ. პენჰაგენში შევიდა. ბერლინი. 30 ნოემბ. „ კალ-ანცეიგერის“ ცნობით რიგაში გამოც დებულ რესპუბლიკას შეადგენს: კურლიან და ლიფლიანდია. მიტავის გერმანელ ჯარი კაცთა საბჭომ დაადგინა არ დასცალოს კუ ლიანდია, ესტლიანდია და ლიფლიანდია უფრო ადრე.

2 დეკემბერი. ბერლინის პრესის ცნობ პრეზიდენტმა ვილსონმა განუცხადა გერმანი მთავრობას, რომ თუ ბერლინში ან გერმანი სხვა ადგილას, რუსეთის ელჩის ჩამოსვლ დროს არეულობა მოხდა, შეთანხმების მთა რობა დროებით ზავს დაარღვევს.

ლიბკნეხტის ორგანოში დაბეჭდილია ც ბა, რომ გერმანიის მინისტრებმა ებერტმა შეიდემანმა წინადადებით მიმართეს პრე დენტ ვილსონს მოაწოდოს გერმანიის სურ თი და სამაგიეროდ პირდებიან წესიერებ დაცვას.—უკრაინის განთავისუფლება. კურს 2 დეკ. პავლოგრადი გარშემორტყმულია შევიკთა რაზმების მიერ. ნოვო-მოსკო ძალა-უფლება ხელში ჩაიგდო ბოლშევ სამხედრო სარევოლიუციო კომიტეტმა.— ეთა მთავრობა დასავლეთის ოლქ იანბურგი. 2 დეკ. შესდგა პეტროგრად

სააგიტაციოთ ჩამოსული კომუნისტთა კრება. მოხდა მოვალეობათა განაწილება. სამხედრო საბჭო არკვევს ნარვაში ჩვენ ხელში გადმოსულ ქონების რაოდენობას. **პეტერბურგი.** 1 დეკ. ფსკოვში, სრულიად ხელშეხლებელი დაგვხვდა საინტენდანტო ქონება, იარაღი, ამუნიცია და ყუმბარები, რომელიც ჩვენ მარტში დავტოვეთ იქ. გერმანელებს ვერაფრის გაზიდვა ვერ მოუსწრიათ. ქონება წითელ არმიის განკარგულებაში გადავიდა. **უკრაინა, კურსკი. 2 დეკემბ.** ხარკოვიდან იუწყებიან, რომ პოლტავა პეტლიურას მომხრეებს აუღია, გერმანის ჯარი უკმად სცდილობს კიევზე გადმოჭრებას. კონტრრევოლიუციის ბანაკი. **კურსკი. 2 დეკ.** კრასნოვის რიზმის უფროსმა ლუგანსკსა და სლავიანო სერბის მაზრაში საალყო წესები გამოაცხადა. გაუსამართლებელ დახვრეტით ემუქრება მათ, ვინც იარაღს არ ჩააბარებს და ბოლშევიკურ აგიტაციას გასწევს. მაკეევში მცხოვრებნი რეპრესიების გამო თავზარდაცემულნი არიან. მუშებს საქარხნო კანტორების საშუალებით სამხედრო გადასახადს ახდევინებენ. ალექსანდროვის და გრუშევსკის ციხეები გავსილია მუშებით. რეჟიმი ნიკოლოზის დროის რეჟიმზე უფრო მკაცრია.

გერმანიის პრესის ცნობები.

1 დეკ. აღმოსავლეთში გერმანულ ჯარების ევაკუაციამ და სამშობლოში დაბრუნებამ ფართო ხასიათი მიიღო. პირველ რიგში დაისვა ესტონია, ლიტვა და მოლოდეჩნო-ტავრიდა-ყირიმის ხაზის აღმოსავლეთით მდებარე ადგილები. დიდი მანძილისა და გზების სიმცირის გამო ევაკუაცია გაჭიანურდა. პოლონეთში შექმნილი მდგომარეობა დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ევაკუაციისთვის, მაგრამ მაინც არ ხდის მას შეუძლებელს.

მაკენზენის ჯარის მთავარი ნაწილი ზიგლამის და კრონშტატის შუა იმყოფება. ჯარის ნაწილი უკვე მოვიდა ბავარიაში და სილეზიაში.

მაკენზენის ჯარის დატყვევებაზე გავრცელებული ხმები, სიმართლეს მოკლებულია.

მაინცის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმ. კომ. მიიღო რეზოლიუცია, სადაც ჰკიცხავს მიუნხენის საბჭოს, რომელმაც მოითხოვა დავიდის და შეიდემანის მთავრობიდან გაძევება.

გროსბერლინის მუშათა დეპუტატების საბჭომ 29 ნოემბ. სხდომაზე პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ ჯარისკაცთა საბჭო ანგარიშს არ უწევს აღმასრულებელ საბჭოს წარმომადგენლებს.

მიუნხენიდან მოსულ ცნობების თანახმად, შვეიცარიის მთავრობა არ სცნობს პროფესორ ფორსტერს, რომელიც მინისტრათ დანიშნა ბავარიის ახლანდელმა მთავრობამ, შვეიცარია არ სცნობს აგრეთვე ბავარიის მთავრობას, შვეიცარიის მთავრობა განაგრძობს დიპლომატიურ დამოკიდებულებას ბავარიის ყოფილ მინისტრის ფონ-ბომესთან, რომელსაც არ სცნობს ბავარიის ახალი მთავრობა.

კულტთა მინისტრმა ეკლესიის გამოყოფის შესახებ „ბერლინერ-ტაგებლატის“ წარმომადგენელს პირადი შეხედულება გაუზიარა: „ისეთი სერიოზული საკითხი, როგორიცაა ეკლესიის გამოყოფა, რაც მრავალ გერმანელის რელიგიურ გრძნობას შელახავს, არ შეუძლია გადასწყვიტოს არც მთავრობის დეკრეტმა და არც კულტთა მინისტრმა.

გერმანიის დელეგაციის ცნობები

ინგლისელების ესკადრა.

30 ნოემბერს ფოთში მოვიდა ინგლისელების ესკადრა: ერთი კრეისერი და ორი „ისტრებიტელი“. ესკადრის უფროსმა მოითხოვა იქ მყოფ გერმანელ ჯარის იარაღის აყრა, ეს მისი მოთხოვნილება ალბათ გაუგებრობით იყო გამოწვეული და როდესაც თავის უფროსებს დაელაპარაკა რადიოთი თავისი განკარგულება გააუქმა.

გერმანელები ბაქოში.

გერმანიის ჯარისკაცები ბაქოში არ არიან, ჩამოვიდა იქიდან გერმანელი ექიმი. დარჩა მხოლოთ მოკავშირეთა ნებართვით ერთი გერმანელი კაპიტანი.

მიმოსვლა შავ-ზღვაზე.

შავ-ზღვაზე მიმოსვლა თავისუფლად სწარმოებს. სტამბოლიდან დაიარებიან თავისუფლად გემები ოდესაში.

გერმანელების დაბრუნება სამშობლოში.

4 ნოემბერს, თფილისიდან გასული გერმანელების ეშელონი მშვიდობით მივიდა 26 ნოემბერს ბერლინში.

გერმანიაში.

ბავარიის ვიცე თავმჯდომარემ ეიზნერმა ბრალდება წარუდგინა სოლფს და ერცბერგს, მათ დასწამა ძველი რეჟიმის მომხრეობა და მოითხოვდა მათ გადაყენებას, აგრეთვე ამავე ეიზნერის განკარგულებით გაჩხრიკეს და წაართვეს დოკუმენტები და ფულები გერმანიის კურიერს. ეიზნერის საქციელმა მეტად აღელვა ხალხი, როგორც გერმანიაში ისე ბავარიაში, მოითხოვენ ეიზნერის გადაყენებას. მის მოადგილეთ განზრახულია დაინიშნოს აუერი— ზომიერი სოციალ-დემოკრატი, ფრიად გამოცდილი პოლიტიკური მოღვაწე. სოლფმა დიდი სიტყვა წარმოსთქვა განახლებულ გერმანიის შტატების საბჭოში. სასტიკათ გაილაშქრა ეიზნერის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს გერმანიის დაყოფას. ის თავის მოქმედებით ხელს უწყობს საფრანგეთის დიპლომატიას, რომელთაც სურთ გერმანიის იმპერიის დაყოფა და თავიანთ მოქმედებას არ უფარდებენ მოკავშირეთა (ამერიკელ, ინგლისელების) ზომიერ წრეებთა ზრახვებს. არ უნდა იქნეს დარღვეული გერმანიის სახელმწიფოს მთლიანობა. სოლფის სიტყვას ყველა თანაგრძნობით შეხვდა და ერთხმათ იქნა მოწონებული.

ევაკუაცია ბელგიის და რეინის ხაზისა უკვე დასრულდა. დემობილიზაცია წესიერათ ჩატარდა, რომლის კარგათ ჩატარებასაც ჯარისკაცები უწყობდენ ხელს.

ვილჰელმის მანიფესტი.

28 ნოემბერს ქალ. ამერონგენში ყოფილმა გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმმა მანიფესტი გამოსცა, სადაც იგი აცხადებს, რომ ხელს იღებს მეფობაზე, როგორც თითონ, ისე მისი მემკვიდრეები. მოუწოდებს გერმანიის მცხოვრებლებს მხარი დაუჭირონ ახალ მთავრობას და არ დაარღვიონ წესრიგი. იგი სწერს, რომ ვანთავისუფლებ, როგორც ჯარისკაცებს, ისე აფიცრებს მოცემულ ფიცისაგანო.

მთავრობის შექმნის საკითხი ბაქოში

ტეხნიკურ საზოგადოების დარბაზში გაიმართა მეორე თათბირი დემოკრატიულ ორგანიზაციებისა. დაესწრო თათბირს 45 კაცი 22 ორგანიზაციის წარმომადგენელნი. თავმჯდომარეობდა ნაფიცი ვექილი ევანგულოვი, მდივანათ ბირჩის შტერნი, თათბირზე არ გამოცხადნენ სომხის ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელნი და არც დაშნაკელთა პარტიის წევრნი, აგრეთვე არ იყვნენ მუსულმანები.

წინა სხდომაზე არჩეული კომისია აკეთებს მოხსენებას, რომელსაც დავალებული ჰქონდა მოლაპარაკებოდა პროფ. გოლოვინს. კომისიის მოხსენებიდან აღმოჩნდა, რომ პროფ. გოლოვინი არის რწმუნებული არა უფის მთავრობის მთელი შემადგენლობის, არამედ მხოლოდ მისი სამხედრო ნაწილისა, და გამოგზავნილია ბაქოში მოკავშირეთა სარდლობასთან. მოისმინა რა თათბირმა ეს მოხსენება დაადგინა, რომ თათბირს მისცეს მხოლოდ ინფორმაციული ხასიათი და დღის წესრიგში დასმული მთავრობის შექმნის საკითხი გარჩეული იყოს მხოლოდ აზრთა გაცვლა-გამოცვლის ფარგლებში. შემდეგ თათბირი შეეხო კავკასია-კასპიის მთავრობის საკითხს. ზინოვიევ-დეიჩმა აღნიშნა, რომ კავკასია-კასპიის მთავრობა არ არის კოალიციონური და არაა მისაღები ბაქოსთვისაო. კამათის შემდეგ გადასწყდა, არჩეულ იქნას კომისია პარტიათა და პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან, რომელიც მოამზადებს და წარუდგენს შემდეგ კრებას ვრცელ მოხსენებას ამ საკითხის შესახებ. („აღ.“)

ახალი ამბები

მილოცვა. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ საქართველოს დამოუკიდებლობის ნახევარი წლის შესრულების გამო მილოცვის წერილი გამოუგზავნა. პროფესორთა საბჭო აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტი მთელი თავის ცოდნასა და ძალ-ღონეს შესწირავს საქართველოს აყვავებას და სიყვარული სამშობლოს შეუწყვეტლივ კულტურულ წარმატებას.

◆ **დეპეშა შრომის სამინისტროს.** „გორის მაღალ და დაბალ მოხელეთა კავშირის დამფუძნებელი კრება გიძღვნით სალამს და გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას ნორჩ დემოკრატიულ რესპუბლიკის სასარგებლოდ“.

◆ **ქალაქის თვითმართველობის** მოსამსახურეთა კავშირი აცხადებს წევრების საყურადღებოთ, რომ „სტიპენდიებისა და დახმარების განმანაწილებელ კომისიაში“ არის დარჩენილი მცირედი ფული და მეტად გაჭირვებულებმა უნდა წარმოადგინონ თხოვნები 10 დეკემბრამდე.

◆ **გერმანული ენის კურსები.** 9 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, პირველ სავაჟო გიმნაზიის შენობაში, გაიხსნება გერმანული ენის კურსები ქართულ-გერმანულ კულტურის საზოგადოების ხელმძღვანელობით. სწავლა ბერლიცის მეთოდით. მეცადინეობა საღამოობით. მსურველებს შეუძლიათ ჩაწერა: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით—საღამოს 6—7 საათამდე გიმნაზიის შენობაში, პირველი შესავალი როზენოვის ქუჩიდან: სწავლის ფასი თვეში 20 მანეთი.

◆ **მილიციონერების შესახებ.** ქალაქის თვითმართველობის გამგეობამ დაადგინა მილიციონერების მიღებისა და დათხოვნის წესი. მიღებისა და დათხოვნისას უნდა განაგებდეს მილიციის უფროსი, თხოვნასა და რეკომენდაციებს განიხილავს კერძო კომისია, რომელშიაც შევლენ წარმომადგენლები: კომ-სარების ბიუროსაგან, მილიციონერთა პროფესიონალური კავშირისაგან და ქალაქის თვითმართველობის გამგეობისაგან. მილიციაში არ მიიღებიან: 1) ვინც სასამართლოშია მიცემული, 2) საშუალო და უმაღლესი სასწავლებლის მოწაფეები, 3) ავათმყოფნი და სუსტნი, 4) ახალგაზრდები 20 წელზე ნაკლებნი და 45 წელზე ზევით. ახლად მისაღებ უფროს მილიციონერებს უნდა ჰქონდეთ 4 კლასის სწავლა მიღებული, უმცროს მილიციონერებმა უნდა იცოდნენ წერა-კითხვა. ყველა სამსახურში მყოფი მილიციონერები გასინჯული იქნებიან ექიმებისაგან.

◆ **მილიციის უფროსის** განკარგულებით სამი თვით დაპატიმრებულ იქნენ საზოგადოებრივი წესრიგის და მშვიდობიანობის დარღვევისათვის მიხეილ შმოკინი, გიორგი ჩხოტუა და მ. ხინოვი.

◆ **საერობო ყრილობა.** 2 დეკემბერს გაიხსნა თფილისის მაზრის საერობო ყრილობა. პირველ სხდომაზე დაადგინეს გამგეობა 5 კაცისაგან შესდგებოდეს. 1200 მ. თვეში თითოეულს ჯამაგირათ.

— **დღეს,** 4 დეკემბერს სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში (ნაძალადევში) დანიშნული ლექციები დ. დეკანოზიშვილისა და ქრ. რაჭველიშვილისა არ შესდგება.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში** დღეს მეცადინეობა არ იქნება უქმის გამო.

◆ **ქართულ ტეხნიკურ საზოგადოებაში** დღეს, 4 დეკემბერს, საღ. 7 საათზე ფრეილინის ქ. № 11, დანიშნულია ამ საზოგადოების კრება, რომელზედაც მოხსენებას წაიკითხავს ინჟ. კ. მუდაკოვი.

◆ **დუშეთის მაზრაში** ერობის შემომღები კომიტეტი ამით აცხადებს, რომ კვირას, 8 დეკემბერს ქ. დუშეთში დანიშნულია საერობო ხმოსანთა თათბირი, ვთხოვთ ყველა ხმოსნებს დაესწრონ აღნიშნულ თათბირს.

◆ **მიბაძვი მაგალითი.** სახალხო გვარდიის დღის აღსანიშნავათ და მის ფონდის გასაძლიერებლათ, ნოე ალექსიძე გიორგაძემ შემოსწირა ხუთი თუმანი (50 მან.) ფული ინაძება რკინის გზის სახალხო გვარდიის შტაბში.

◆ **მშობელთა კრება.** ოთხშაბათს, 4-ს დეკემბერს (ახალი სტილით) დილის 10 საათზე ქალთა ყოფილ ინსტიტუტის შენობაში შესდგება ქალთა მეშვიდე გიმნაზიის მოწაფეთა მშობლების საერთო კრება. ვინაიდან ეს კრება მესამედ არის დანიშნული, იგი კანონიერად იქნება, რამდენი მშობელიც არ უნდა დაესწროს. კრების საგანი: მშობელთა წრის გამგეობის არჩევა, პედაგოგიურ საბჭოში წარმომადგენლების დასახელება და სხ.

◆ **ბიურო.** ს. ს.-დ. მუშათა პარტიის თფილისის ორგანიზაციის მეოთხე რაიონული კოლექტივისა გადავიდა ახალ ბინაზე, ოლღას ქუჩა № 29, სახლი არამიანცისა. ბიურო ღიაა დილით 10—1 საათამდე და საღ. 5—7 საათამდე.

◆ **ბერძენთა ეროვნულ საბჭომ** შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე, რათა ლტოლვილ ბერძნებისთვის იშუამდგომლონ თავიანთ სამშობლოში, ყარსის ოლქში და ტრაპიზუნდის რაიონში დასაბრუნებლად.

◆ **ქართული ენის პროგრამა.** სწავლა-განათლების მინისტრის დავალებით, განათლების სამინისტროს კანცელარიის დირექტორმა ბერიძემ შეადგინა ქართული ენის პროგრამა უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებლისათვის, რომელიც ამ დღეებში დაიბეჭდება და გამოიცემა.

◆ **სტუდია.** ამ დღეებში ხმები გავრცელდა, ვითომც ქართ. დრ. საზ. სტუდია დაშლილიყოს. ადმინისტრაცია აცხადებს, რომ ეს ხმები სიმართლეს მოკლებულია და საქმის ვითარებას ამ დღეებში გამოაქვეყნებს.

◆ **გამომცემლობა.** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „ცხოვრების დარჯაკში“—ლექსების და მოთხრობების კრებული ალ. გერასიმიძისა. წიგნაკი სუფთადაა გამოცემული და ღირს 1 მ.

◆ **ქართული დრამა.** ამ მოკლე ხანში სახელმწიფო თეატრში დაიწყება სეზონი ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირისა. დასი უკვე შემდგარია შემდეგ მსახიობთაგან: აბაშიძე ტ., ანდრონიკაშვილი ელ., ანჯარა ს., გოგოლაშვილი თ., დავითაშვილი ნ., ღლონტი ელ., მესხი ეფ., სინაურიძე ოლ., ქამარჯაშვილი მ., ჩერქეზიშვილი ელ., ჩხეიძე ა., ჯავახიშვილი ნ. აბაშიძე ვ., ამღუშელი დ., ბარბელი ივ., გვარამძე ნ. გუგუშვილი ალ., დადიანი შ., იმნელი გ., მიტარაძე გ., ქიქიძე იოს., სანდალა ალ., სარაჯიშვილი მ., ფრონისპირელი გ. ა. ციციშვილი ნ., ძნელაძე დ., ჯაფარიძე მ. რეპერტუარში ჯერ-ჯერობით შეტანილია შემდეგი ახალი პიესები; ტარიელ გოლუა—ლეო ქიაჩელისა. სინათლე II ნაწილი—ი. გედევანიშვილისა, ვარამი-შალვა დადიანისა, ბურუსი—სიო ქანტურიშვილისა. ბედის ტრიალი—ერისთავ-ხოშტარიასი, მწირი-სარდალი—დუტუ მეგრელისა; ძველთაგან—ღალატი—სუმბათაშვილისა, სიმახინჯე—ნ. შიუკაშვილისა, მთის ზღაპარი—მისივე, უგვირგვინო მეფეები—ალ. შანშიაშვილისა, ვინ არის დამნაშავე—ნ. ნაკაშიძისა, მსხვერპლი—ი. გედევანიშვილისა. დასი უკვე შეუდგა მეცადინეობას და განზრახვა აქვს, რომ პირველი წარმოდგენა გამართოს პარასკევს, 6 დეკემბერს.

კრებები.

დღეს, ოთხშაბათს საღამოს 6 საათზე ერთობის უბნის მუშათა კლუბში დანიშნულია ერთობის უბნის რაიონის სახალხო გვარდიელთა საერთო კრება. მოხსენებას გააკეთებს ვალიკო ჯუღელი სახალხო გვარდიის მსროლელთა პოლკის დაარსების შესახებ.

— დღეს, 4 დეკემბერს, საღ. 6 ს. ქალაქის საბჭოს დარბაზში, შესდგება ქალ. თფ. მის. დელეგატთა საგანგებო კრება.

— ბიურო საქართველოს სოც.-დემოკ. მუშათა პარტიის თფილისის ორგანიზაციის მეოთხე რაიონული კოლექტივისა, გადავიდა ახალ ბინაზე, ოლღას ქუჩა, № 29, სახლი არამიანცისა. ღიაა დილით 10—1 და საღამოს 5—7 საათამდე.

— ოთხშაბათს, 4 დეკემბერს დილის 10 საათზე პროფესიონალურ კავშირის შენობაში (ალექსეევის ქუჩა № 7) შესდგება საზოგადო კრება კოოპერატივებში მოსამსახურეებისა.

მთავრობაში

30 ნოემბერს მთავრობამ დაადგინა:

ეცნობოს პარლამენტის პრეზიდიუმს, რომ კანონ პროექტს, განათლების კომისიის მიერ შემუშავებულს სკოლების ეროვნულ საფუძველზე მოწყობის შესახებ, დეკლარატიული ხასიათი აქვს და ამიტომ მისი პარლამენტში წარდგენა ზედმეტია.

— — —

ქართველ მამათა სავანეს „უმანკო ჩასახების ბერების თხოვნა საფარის მონასტრის დათმობაზე გადაეცეს საკათალიკოზო საბჭოს და მიენდოს მას ამ საკითხის გადაწყვეტა. ამასთანავე ეცნობოს საკათალიკოზო საბჭოს, რომ მთავრობას არაფერი არა აქვს საწინააღმდეგო საფარის მონასტრის „უმანკო ჩასახების“ სავანისათვის გადაცემისა.

— — —

განათლების მინისტრის მოხსენება ოსთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობაზე მოწონებულ იქნას.

— — —

დროებით მეითალ ექიმებს და მათ ფერშლებს მიემატოს დღეში თითოს ათ-ათი მანეთი 1918 წლის 1 სექტემბრიდან ათ მილიონიან ფონდიდან.

— — —

გადაიდეს ხაზინიდან ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის განკარგულებაში 200,000 მანეთი შტატების შემცირების გამო დათხოვნილ მოხელეთა სალიკვიდაციო ფულით დასაკმაყოფილებლად.

როგორ გადავარჩინოთ სამშობლო?

ისეთ მოწამლულ ატმოსფერაში არის დღეს ჩვენი სამშობლოს ამომავალი მზე გახვეული, ისეთი სულ შემხუთველი ჯანყი არსებობს მის გარშემო, რომ უნებურათ დავფიქრებულვარ: ნეტავი თუ მოვესწრებით ოდესმე იმ დღეს, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის მზე ბრწყინვალე სხივებს მოგვფენს, შეგვეთამაშება, გაგვინათებს, გაგვათბობს... და ხშირად მისულვარ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ, ჩვენი ნათელი მზის ამოსვლას ვერ მოვესწრებით, თუ უკანასკნელი ღონისძიება არ ვიხმარეთ ამ დაშხამულ ჰაერის და სულ შემხუთველ სუნის მოსასპობლათ, რომელსაც ჩვენი შინაური მტრები ჰქმნიან. სანამდე სუნის გამავრცელებელი ბაცილები არ მოისპობა, მანამდე სუნის მოსპობაც შეუძლებელია. სანამდე ის ზნე-დაცემული პირები, ვინც უნდა იყვნენ ისინი, ქართველი, სომეხი, თათარი თუ რუსი, რომლებთაც საქართველოს დემოკრატიაში ზიზღი და მტრობა შეაქვთ, არ მოისპობიან, მანამდე ჩვენი სამშობლო ვერ მოისვენებს. ჩვენი თავისუფლების დასაცველათ საჭიროა რადიკალური ზომების მიღება მათ წინააღმდეგ. განა დაუსჯელი უნდა დარჩენ ის პირნი, რომლებიც ყოვლად საზიზღარ და უმსგავს სიცრუეს ავრცელებენ პრესის საშუალებითაკ კი ქართველ და სომეხ დემოკრატიაში? აი, ბატონებო, რასა სწერს ერთი ვინმე, რომელიც თავის გვარს ქურდულად მალავს და ფსევდონიმს „proximus“-ს ამოფარებია „ხალხის მეგობარში“ № 305. „ჩხარის (ზემო იმერეთი) სომხობაც სხვა კუთხის სომხებთან ერთად მეტის მეტ ავანტიურას ეწევა ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. თუ უწინ ბაქო ეკერათ ენაზე და იქიდან ელოდენ „შველას“, დღეს კი ბათუმი აკერიათ ენაზე და მუდამ მასზე გაიძახიან: „ოსმალეთი უკვე შერიგებია ინგლისს, დღეს ბაქოში მოსულან ინგლისელები და მალე თბილისში იქნებიანო, და ვინ იცის რაებს არ ბოდავენ“. მართლაც რომ ღმერთმა, ანუ ეშმაკმა იცის ამის დამწერი რას ბოდავს.

შემდეგ დაუგდეთ ყური რას ამბობს. „...ერთი სიტყვით მათ აღარაფერი არ აგონდებათ ინგლისელების მეტი, ასეთი ხმები ჩვენს უსწავლელ მასაში ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს და თანაც შიშს იწვევს“. აი უსინდისობა! „ვინ იცის მათი მოქმედების გეგმა სანამდე არ მიაღწევს. ვიმეორებთ ჩვენმა მთავრობამ ჩვენს ხალხთან ერთად შესაფერი ზომები უნდა მიიღოს იმ ვაჟბატონების ასალაგმავათ და სასტიკათ უნდა დაისაჯონ ყველა ის, ვინც ჩვენ ნორჩ რესპუბლიკას მოსვენებას არ აძლევს და მოსისხლე მტრად ევლინება“ ხედავთ, ბატონებო, ჩხარელი მეწვრილმანეები, მეედლები, ხარაზები, ფინაჩები და მიკიტნები, ყველა თითქმის გაქართველებული სომხები, რომლების 95 პროცენტმა სომხურათ ერთი „ინჩიც“ არ იცის, საქართველოს რესპუბლიკის მოსისხლე მტრები ყოფილან. მართალი გითხრათ ამის დამწერი, როგორც დიდი ზნეობის, აგრეთვე „ნათელი ლოღიკის“ პატრონი ყოფილა.

შემდეგ ჩვენი მოინტელიგენტე ავტორი განაგრძობს: „ამბობენ ჩხარელ სომხებს რაღაც ფარული დამოკიდებულობა ჰქონიათ თბილისელ სომხებთან და იარაღსაც ბევრს იძენენო“. ამბობენო! მართლაც, რომ ამბობენ და არა მარტო ჩხარელი სომხები, აგრეთვე ჩხარელი ქართველებიც, რომ ეს ვაჟბატონი არამც თუ საქართველოს რესპუბლიკის ერთგული შვილი არ ყოფილა, არამედ მისი მტერი და ორგული.

განა არ არის დასასჯელი ასეთი ვინმე?

განა ასეთი პირნი გააბედნიერებენ ჩვენს სამშობლოს? არა და არა! ამ ვაჟბატონებს უბედურების მეტი არაფერი არ მოაქვთ. თბილისში რომ არაფერი გამოუვიდათ თავიანთ ბოროტ მიზნის მისაღწევად, სოფლებში დაიწყეს ფარჯიშობა, ჰგონიათ აქ უფრო მომზადებული ნიადაგი დახვდებათ. მაგრამ მე მრწამს, რომ არც სოფლის ინტელიგენცია, არც სოფლის მუშა ხალხი, რომელსაც არასოდეს ანტი სომხურ მოძრაობაში მონაწილეობა არ მიუღია, არ დაუჯერებენ მათ სიცრუეს და არ გაებმებიან ხაფანგში. რაც შეეხება ჩხარის ან სხვა სოფლებში მცხოვრებ სომხობის ლოიალობას, ამაზედ ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია, რაშიაც შეუძლია ყოველ მსურველს პირადათ დარწმუნდეს.

სანამდის ჩხარელი სომხობა იარაღით ხელში საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, გაილაშქრებდეს უფრო ჩქარა დედამიწის ზურგზე მეორეთ მოსვლა იქნება.

ს. ჩხარი. ი. სიმონ გულიანი.

სამხედრო წესები თელავში

ჩვენ თავისუფალ საქართველოში ბნელი და კონტრ-რევოლიუციური ძალები მაინც განაგრძობენ თავიანთ საქმეებს.

საქართველოს იმ კუთხეში, სადაც სუსტობს ადმინისტრატიული აპარატი, ნამდვილი დღესასწაულია ამ ბნელ ძალებისა: მათ თავზედობას საზღვარი აღარ აქვს.

თელავის მაზრაში ხომ ყაჩაღთა თარეშობამ ზღაპრული ხასიათი მიიღო. გლეხკაცობას უვარდებოდნენ ოჯახებში და გაჰქონდათ, რასაც კი საჭიროთ დაინახავდნენ. თელავში შემოდიოდნენ დღისით, შუა ქუჩებში ახდენდნენ მკვლელობას, ცეცხლიდნენ მდიდრებს. ყაჩაღთა რიცხვი თითქმის ორმოცამდე ავიდა. ყაჩაღობდა ყველა, ვისაც ან ვისიმე ჯავრი სჭირდა, ან ფული დასჭირდებოდა საქეიფოთ. ვინ იყო მათი დამშლელი?

მილიციონერებს არავინ ენდობოდა, წითელგვარდიელთა უფროსს ხომ, როგორც აღმოჩნდა, ჰქონებია დაახლოვება თვით გამოჩენილ ყაჩაღებთან.

ამგვარად, ქალაქს და მთელ მაზრას დაეპატრონენ ავაზაკები. ამ ყაჩაღთა ბრბოს ხელმძღვანელობდნენ ეგრედწოდებულნი „ტყის ძმები“, რომლებიც, მართალია, ყაჩაღათ არ გადიოდნენ, მაგრამ თელავში გახსნეს დუქნები, ეს ერთგვარი სამაგრეები გავარდნილ ყაჩაღებისთვის.

აქ იკრიბებოდნენ ეს უკანასკნელნი თავს, აქ აწყობდნენ თავიანთ პლანებს და ორგანიზაციებს, აქედან ჰქონდათ გაბმული ქსელები და თავიანთ აგენტების საშუალებით მთელი მაზრა ხელში ეკავათ.

წინანდელი ყაჩაღები მისდევდნენ მარტო ძარცვას, ისიც ფარულად. ახლანდელებმა, გარდა ცარცვისა, ცხადათ შეითვისეს ახალი ტაქტიკა—დანიშვნა ტერორისა ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა თვალსაჩინო დამცველებზე, ზოგიერთ კომისარს, წითელ გვარდიელს, ან მილიციონერს ასალმებდნენ წუთისოფელს.

ასე მოქმედებდნენ ყაჩაღები თელავში და მის მაზრაში თითქმის თვეზე მეტი. შეწუხდნენ სოფლის და ქალაქის მცხოვრებნი, მიმართეს მთავრობას დასახმარებლად.

მთავრობამ სცნო საჭიროთ სამხედრო ძალების გაგზავნა და მიღება არაჩვეულებრივი ზომებისა, როგორც შემოღება სამხედრო წესების და დანიშვნა დროებით გენერალ-გუბერნატორად საგუბერნიო კომისარის შ. ნ. მაღლაკელიძისა.

ასე რომ არ მოქცეულიყო მთავრობა, თელავში მოსალოდნელი იყო კონტრ-რევოლიუციური მოძრაობა, რომელსაც უმზადებდა ნია-

დებს ყაჩაღთა თავხედური მოქმედება. ამიტომ ზ. მაღლაკელიძის ჩამოსვლას და გლეხ სამებრ დეტრიალებას თელავში და ზაზრაში თავისი ბატალიონის საშუალებით ხალხი და მოწინავე საზოგადოების ნაწილები შეხვდნენ თანაგრძნობით და ნდობით. მის მოქმედებაში დაინახეს მთავრობის ნამდვილი ძალა.

მაღლაკელიძე ულმობლათ უსწორდებოდა დაჭერილ ყაჩაღებს, რომლებიც მოჰყავდა თვით ხალხს, აზარებდა და მოითხოვდა მათ დასჯას, რასაც იგი დაუყოვნებლივ ასრულებდა. სოფ. კურდღელაურში მთელმა სოფლის საზოგადოებამ მოიყვანა ოთხი ავაზაკი და მოითხოვა მათი იქვე გასამართლება.

სწრაფათ გამოძიება სახალხოთ და მათი იქვე დახვრეტა ერთი იყო.

ხალხმა ერთხმათ დაიძახა, „გმადლობ შენი პირიმე, რომ სამუდამოთ მოგვაშორე ეს ჩვენი შემაწუხებელნი და დამღუპველები“.

ორ მოთავე ყაჩაღსაც ამ გზით გაუსწორდა. თელავში სამხედრო საველე სასამართლოს შედგენის შემდეგ გენერალ-გუბერნატორი დანარჩენ დაჭერილ ყაჩაღებს და მათ აგენტებს აძლევს ამ სასამართლოს, რომელიც მოქმედობს თელავის მეექვსე პოლკთან.

გენერალ-გუბერნატორის გაბედული და ენერგიული მოქმედება ქმნის მის გარშემო ნდობის ატმოსფერას და სწევს მცხოვრებთა თვალში ჩვენი მთავრობის ავტორიტეტს, როგორც ძლიერი მართველისა და მზრუნველობიანობას, წესიერების ჩამომგდებელს ხალხში.

იარაღის ჩამორთმევაც თელავში და ზაზრაში ხდება უმტკივნეულოდ.

თუ ასე სწრაფათ წავა საქმე, იმედია ზ. მაღლაკელიძე მალე შეასრულებს დავალებას და სამხედრო წესებიც მოიხსნება.

ძ ძ.

ს.-დემ. პარტიაში

თფილისი. ხუთშაბათს, 28 ნოემბერს, საღ. 8 საათზე, თავის ბიუროს ბინაზე, ამხ. რ. ჩიხლაძის თავმჯდომარეობით შესდგა ს. ს.-დ. მუშათა პარტიის თფილისის კომიტეტის მეოთხე რაიონულ კოლექტივის წევრთა სხდომა. დაესწრო 13 წევრი. კრებამ განიხილა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება ცენტრიდან; 2) სახალხო გვარდიის დღე; 3) მდივნის შესახებ; 4) პარტიული მუშაობა; 5) მოხსენება საგამომძიებლო კომისიისა ლაფაჩიძის საქმის შესახებ და 6) ბინის საკითხი. პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს თფილისის კომ. წევრი ამხ. რ. ჩიხლაძე. ის მოკლეთ აცნობს კრებას თფილისის კომიტეტის მუშაობას და მის მნიშვნელოვან დადგენილებებს. რამდენიმე შეკითხვების შემდეგ კრება იღებს მხედველობაში მოხსენებას და გადადის მორიგ საკითხზე. საკმაო აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ სახალხო გვარდიის დღის შესახებ კრებამ დაადგინა გაგზავნილ იქნას 6 ამხანაგი შტაბის კომისიაში და მიეცეს წინადადება თფილისის კომიტეტს, რათა მთელი ჩვენი ძალები მოხმარებულ იქნას ამ დღისათვის და ქალაქებთან ერთად დაგზავნილ იქნას პროვინციებში, მისი მნიშვნელობის გასაცნობათ. მდივნის მოვალეობიდან, თანახმად მისი თხოვნისა, განთავისუფლებულ იქნა ამხ. ს. მიხელიძე და მის მაგიერ შერჩეული მ. ტულუში. პარტიულ მუშაობის შესახებ გადაწყდა: მოხდეს ხელახალი არჩევნები, როგორც კოლექტივის, ისე თფილისის კომიტეტის წევრებისა. არჩევნების დღეთ დანიშნულ იქნა 8 დეკემბერი. ამავე კრებაზე გაკეთებული იქნება მოხსენება უკანასკნელი (მე-8) პარტიულ ყრილობის დელეგატებისა. მეხუთე საკითხის შესახებ კრება ავალებს საგამომძიებლო კომისიას განაგრძონ მუშაობა და საქმის საბოლოოთ გამოსარკვევათ დაკითხულ იქნას ყველა წევრები. უკანასკნელ კითხვის შესახებ დადგენილ იქნა: განაგრძოს მუშაობა კომისიამ და მიიღოს ყოველივე ზომები ბინის გამოსანახათ.

მ. ტულუში.

სოც.-დემ. ქალთა ორგანიზაცია. 27 ნოემბერს შესდგა თფილისის სოციალდემოკრატიული ქალთა ორგანიზაციების კომიტეტის სასწრაფო კრება მ. ტოროშელიძის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრო თფილისის პარტ. კომიტეტის წარმომადგენლნი—ამხ. რაფ. ჩიხლაძე და ს. თევზაძე. ეს კრება მოწვეული იყო იმ ინციდენტის გამოსარკვევათ, რომელიც მოხდა მეექვსე რაიონის კოლექტივსა და იმავე რაიონის ქალთა ორგანიზაციის შორის. გამოირკვა, რომ მეექვსე რაიონის კოლექტივი უკანონოთ ჩაერია ქალთა ორგანიზაციის საქმეში და ერთ თავის კრებაზე ეს ორგანიზაცია დაშლილათ გამოაცხადა, რის უფლებაც კოლექტივს არ ჰქონდა. ქალთა ორგანიზაციები არსებობენ რაიონებში კოლექტივისაგან დამოუკიდებლათ. ამ ორგანიზაციებს ჰყავთ ქალთა კომიტეტი, რომელიც ექვემდებარება პარტიულ კომიტეტს და თუ რამე დანაშაული ჩაიდინა ამა თუ იმ ქალთა ორგანიზაციამ, ეს, პირველ ყოვლისა, უნდა ეცნობებინათ ქალთა კომიტეტისათვის, რომ მას თავისი მსჯავრი დაედო ამა თუ იმ მოქმედებაზე. თათბირის შემდეგ კომიტეტმა მიიღო შემდეგი რეზოლუცია: „ვიღებთ რა მხედველობაში, რომ რაიონული ქალთა ორგანიზაციები არსებობენ კოლექტივისაგან დამოუკიდებლათ; რომ მათ ჰყავს თავისი ქალთა კომიტეტი, რომელიც ექვემდებარება თფილისის პარტ. კომიტეტს,—კომიტეტი პროტესტს უცხადებს მეექვსე რაიონის კოლექტივს მისი უკანონო მოქმედებისათვის, რომელიც გამოიხატა მეექვსე რაიონის ქალთა ორგანიზაციის დაშლილათ გამოცხადებაში“.

მეორე კითხვათ იყო, თუ რა მონაწილეობა მიიღონ ქალთა ორგანიზაციებმა სახ. გვარდიელთა დღესასწაულში. გადაწყდა, რომ ქალთა რაიონული ორგანიზაციები უნდა შეუთანხმდნენ თავისი რაიონის შტაბებს და მიიღონ მხურვალე მონაწილეობა ამ დღესასწაულის გამართვაში. შემდეგ კომიტეტმა იქონია მსჯელობა ქალთა შორის ორგანიზაციული მუშაობის გაძლიერების შესახებ და გადასწყვიტა დაუყოვნებლივ გახსნას ქალთა პოლიტიკური კლუბი, სადაც მომზადდებიან მომავალი მუშაკები. ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა დაევალა კომიტეტის პრეზიდიუმს.

ქალთა კომიტეტის მდივანი.

რკინის გზის სამმართველო. 27 ნოემბერს შესდგა ამავე სამმართველოს პარტიულ წევრთა კოლექტივის სხდომა ამხ. ლ. ასათიანის თავმჯდომარეობით. პირველ საკითხზე, პარტიულ ყრილობის შესახებ მოხსენებას აკეთებს თვით თავმჯდომარე, რომელმაც დაწვრილებით გადმოგვცა ყრილობის მიმდინარეობა და მისი ნამუშევარის შედეგი. სხდომამ, მცირე შეკითხვების შემდეგ, სრულიად მოიწონა ყრილობის მიმდინარეობა და მისგან შეწონილი მუშაობა და გადავიდა მორიგ საკითხზე. მეორე საკითხზე გვარდიის დღის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. მ. კაჭარავა. ის ვრცლად ეხება გვარდიელების რესპუბლიკის წინაშე ვალდებულების პირნათლად ასრულებას. სხდომამ გადასწყვიტა მხურვალე მონაწილეობა მიიღოს გვარდიის დღის ჩატარებაში.

მესამე საკითხად მოსმენილ იქნა შესახებ პროფესიონალურ კავშირების სექციების არჩევნებისა, რომელიც ტარდება—გზაზე. ამ საკითხზე მოხსენებებს აკეთებენ ადგილებიდან, საიდგანაც გამოირკვა რომ არჩევნები სასურველად მიმდინარეობს და მალეც დამთავრდება.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს ამხ. მ. კაჭარავა სამმართველოს სხვადასხვა განყოფილებების რეორგანიზაციის შესახებ. ამხანაგის მოხსენებიდან და პროექტიდან ბევრი შემოსავალი შეემატება ხაზინას. ასეთი ყურადსაღები პროექტი სხდომამ მოიწონა და დიდად სასარგებლოთაც სცნო. ამის გამო არჩეულ იქნა ორი ამხანაგი რომლებიც უნდა ვაეცნონ პროექტს და გეგმას და ისე წარუდგნენ გზის უფროსს მოსახსენებლად. უკანასკნელად საკითხი იყო შესახებ პარტიულ წევრთა კრების მოწვევისა. მინამ პროფესიონალური სექციების ორგანიზაციები დასრულდებოდეს, მანამ კრების მოწვევა გადაიდვა. განცხადებათა შორის საკითხია საავადმყოფოში მომხდარ ამბების გამო, კომისიის მოხსენება, რომელსაც აკეთებს კომისიის წევრი ამხ. ივ. ნაცვლიშვილი, რომელიც დასკვნას ჯერ არ აკეთებს, რადგანაც გამოძიება არ დასრულებულა. სხდომამ მხედველობაში მიიღო ეს მოხსენება.

საქარელი მ.

თეატრი და ხელოვნება

ალ. მაისურაძის კონცერტი დემოკრატიულ კლუბში.

შაბათს, 30 ნოემბერს, დემოკრატ. კლუბში გაიმართა კონცერტი ალ. მაისურაძის ხელმძღვანელობით. პროგრამა შინაარსიანი იყო, რამდენიმე ახალი სიმღერით: „სატრფოვ ხშირად“, „მერანი“, „ჰოპური“ და სხ. კონცერტმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრე საზოგადოებაზე და უფრო დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა, რომ გუნდს მომზადება არა ჰკლებოდა. აღსანიშნავია აგრეთვე „ჰონა“ს შესრულება, რომელიც საზოგადოების თხოვნით ორჯერ იქნა განმეორებული. კარგი იყო აგრეთვე „აი ხამარე“ და „შინდა გიყვარდე“—შესრულებული ქალთა გუნდის მიერ. გუნდს ეტყობოდა ერთგვარი კრძალვა და შიში, თუმცა ლოტბარი სცდილობდა ყოველივე ამის დაფარვას თავის მოქმედებით. თვით ლოტბარს პირველ ორ განყოფილებაში უხალისობა ეტყობოდა, თუმცა ბოლო განყოფილებაში სამაგიეროთ გამოაკეთა ეს ნაკლი; ასევე ითქმის ლ. ჯანდიერზე. კარგი იყო „ურმული“—ჯანდიერის მიერ შესრულებული, რომელიც მეორეთაც გაამეორებინეს. კონცერტის ყოველივე ნაკლი შეიძლება აიხსნებოდეს კიდევ იმითი, რომ საზოგადოება კონცერტს ცოტა დაესწრო, რაც აიხსნება სინათლის უქონლობით (შესავალთან). საერთოდ საზოგადოება კონცერტით კმაყოფილი დაიშალა.

ილტოზელი.

პროვინცია

ბორჯომი. 16 ამ თვეს, ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების ბორჯომის განყოფილების გამგეობამ გამართა საზოგადოების სასარგებლოთ საღამო. შემოსავალი ჰქონდა საღამოს 4395 მ. 70 კ. გასავალი 1682 მ. 60 კ.-წმინდა მოგება დარჩა 2713 მ. 10 კ.

20 ამ თვეს ჩამობრძანდა სამხედრო მინისტრი გრ. გიორგაძე. მან ინახულა აწყურის ფრონტი. 21 დაბრუნდა ბორჯომში, სხვათა შორის დაათვალიერა ბორჯომის სახელოსნო სასწავლებელი.

— 25 ში მოვიდა თოვლი.

— 25 ამ თვეს თფილისიდან ჩამოვიდა სახალხო სკოლების მთავარი გამგე ბ-ნი გ. ჭუმბურიძე, რომელმაც მოახდინა რევიზია სახელოსნო და პირველ დაწყებით სკოლებში. სხვათა შორის მან განაცხადა, რომ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ამ წელში გახსნას ბორჯომში პირველ დაწყებით უმაღლესი სასწავლებელი და სოფლებში კი ხუთი პირველ დაწყებითი სკოლა,

ნოდე.

წერილი რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

გაზეთ „კავკაზსკოე სლოვოს“ 257 ნომრის ხრონიკაში ვკითხულობთ შემდეგს: „Обвиняемый въ ограбленіи Чумлакскаго питомника по полученнымъ министерствомъ внутреннихъ дѣлъ свѣдѣніямъ, завѣдывающій питомникомъ Накашидзе задержанъ“. როგორც „ერთობის“ მკითხველთ მოეხსენებათ, მე გავიძარცვე მეტად ვიდრე სანერგე, ამისათვის თავისთავად ცხადია, რომ მე ჩემ თავს არ გავცარცვავდი და არც არავის ფიქრათ მოსვლია ჩემი დაჭერა. ვინაიდგან ხსენებული გაზეთი ცნობილია ასეთ ყალბი ცნობების გამოქვეყნებაში და ეს უკანასკნელი ყალბი ცნობის გაგება ჩემ ნაცნობ-მეგობრებს საგონებელში ჩააგდებს, ამისათვის გთხოვთ ეს ჩემი წერილი მოათავსოთ „ერთობის“ ახლობელ ნომერში. ამასთანავე შესაფერი წერილი გეგზავნება ზემოთ ხსენებულ გაზეთის რედაქციას.

ჩუმლაყის ამერიკული ვაზის სანერგის გამგე ქ. ნაკაშიძე.

ცნობები

დაიკარგა უსახელოთ ჯარის კაცი პირველი პოლკის დავით ალექსის ძე ტაბატაძე. უკეთუ ვინმემ იცოდეთ რამე მის შესახებ გვაცნობეთ შემდეგი მისამართით: ქუთაისის გუბ. სადგური მოლითი, სოფ. დეისში, ალექსი ტაბატაძეს.

რუსეთიდან ჩამოსულებისადმი თხოვნა თუ რა იცით ქ. ოდესაში მყოფ პოდპორუჩიკ ევსევი ჩიქვანაიას შესახებ გთხოვთ უმორჩილესად გვაცნოთ ქ. თბილისში, სასახლის ქუჩა, ს. № 5, რედაქც. „ალიონი“ თომა ჩიქვანაიას,

განცხადებანი

გაიხსნა

კერძო სამკურნალო

მუდმივი საწოლებით.

მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფნი.

მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ გვერდით) ტელეფ. 5—97. ავათმყოფთა მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე. ოპერაციო, კონსულტაციო, „914“ და „606“ შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა, სტაციონალური ავათმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

რენტგენის და ელექტრ. სამკურნ. კაბინეთი

დოქტორი მედიცინისა

გ. მერაბოვისა

(რენტგენოლოგი ყ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა.

მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების, ჭლექის ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჭაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

საწყლებს უფასოდ.

ექიმი

დ. ზ. ნიქარაძე

იღებს ავათმყოფებს დღის 2—4 საათ. ნაძალადევში ლოტკინის ქ. № 9. (12—2)

ექიმი თეოდორე ივანეს ძე

მახვილაძე

იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებით) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

მედიცინის დოქტორი

ა. გ. მაჭავარიანი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—7 ს. ყოველდღე, გარდა კვირისა. მიხეილის ქ. № 111. სახლი ადამოვისა, 2 ფლიგელი. ბინის ტელ. № 49.

ექიმი ქალი

მ. ს. ქარუმიძე—მიბურიშვილი.

იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე დილის 12—2 ს. საღამოს 4—6 საათ. იძლევა საბებიო დარიგებას. მისამართი: ბელინსკისა და იზმაილოვის ქუჩების კუთხე № 24—28. შესასვლელი იზმაილოვის ქუჩიდან.

ექიმი

ა. ნ. შატილოვი

იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემინარიის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლოს).

კბილის საექიმო კაბინეთები

თედორე საშავარდის ძე ციხომელიძისა

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი დ. ა. ჯაფარიძე

მიიღებს შინაგანს, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 [illegible] ქუჩა № 7. ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი

(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) დებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან სქესობრივ, საშარდე და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმონოვის აფთიაქის გვერდით.

ექიმი

დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

ექიმი

იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე

დებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

ექიმი

პ. ტ. ლორთქიფანიძე

(ბაქოდან)

მიიღებს შინაგან სნეულებისა და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე.

ნაზერეთის ქუჩა, სახლი 11. ტელ. 8—19.

ექიმი მ. ა. შაფრანი.

სპეციალურად სიფილისი და [illegible] (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-საბაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და [illegible] ქირურგ-გინეკოლოგიური კლინიკისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილ. 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

ექიმი ბ. ნ. მუსაძე

იღებს საღოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: [illegible] ქ. № 6; [illegible] ხაზ. შენობის პირდაპირ, [illegible] ტელეფ. № 5—77.

მიხეილის კერძო სამკურნალო

მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., გ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. ტ ქალ. 11—12 ს., გ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დღის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., ქ. მ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.

მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ აკოფოვის ზედამხედველობით.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლოს) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

სამკურნალო კაბინეთი

ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (91—606 ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილი 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

თფ. ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ სამშაბათს, 10 დეკემბერს, დღის 12 საათზე, ქალაქის გამგეობის თანადასწრებით მოხდება

საჯარო ვაჭრობა

იჯარით გაიცემა სავაჭროდ ქალაქის აგურის ბუდკები (ყოფილი წყალსადენისა), ბუდკები მოთავსებულია: 1) მიტინოვის ქ. და მლეთის შესახვევის კუთხეში—1 უბანი, 2) მამადავითის მოედანზე—2 უბანი, 3) სურფ სარქისის ქუჩაზე—5 უბანი, 4) ძველი ტამოვის ქ.—5 უბანი, 5) ვარვარინის ქ—6 უბანი, 6) ართვინისა და ნორიის ღმართის კუთხეში—9 უბანი. კონდიციები და ყოველივე ცნობის მიღება შეიძლება სამსახურის საათების დროს საიჯარო-სამიწათმოქმედო განყოფილების კანცელარიაში. (2—1)

სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

ოთხშაბათს, 4 დეკემბერს, ვ. ა. ნიკოლსკის ათი წლის იუბილე ზლიმსკის და ნიკოლსკის მონაწილეობით **„მოცარტი და სალიერი“**

საბანეევას, ზალიპსკის, პოლიაკოვის, ნიკოლსკის და დემიანენკოს მონაწილეობით **„სევილიელი დალაქი“** დასაწყისი საღამოს 7 ნახ. საათზე.

ანონსი: ხუთშაბათს, 5 დეკემბერს „ჰუგენოტები“. შაბათს, 7 დეკემბერს „ნერონი“. კვირას, 8 დეკემბერს „ლაკმე“.

გერმანულ-კავკასიური

სავაჭრო ბანკი

გოლოვინის პროსპექტი, არამიანცის სახლი

ბანკმა მოქმედება დაიწყო

30 ნოემბერს 1918 წ.

აწარმოებს ყოველგვარ ოპერაციებს (2—2)

თანახმად ბანკის წესდებისა.

საქართველოს სოც.-დემ. მ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებობს

სეკრეტარიატი,

რომელიც აძლევს პროფესიონალურ ორგანიზაციებს პასუხს ყოველგვარ შეკითხვებზე. სეკრეტარიატი მოთავსებულია „ერთობის“ რედაქციაში, გოლოვინის პრ. № 12. ღიაა დილის 9—2 ს. და საღამოს 5-8 ს. ტელეფ. № 16—62.

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი. № 1.